

ლიტერატურული გაზეთი

№52 17 - 30 ივნისი 2011

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევით

ფასი 50 თეთრი

როსტომ ჩხეიძე

ჩვენ —
როგორც
ხაზარები

III-XI

ზურაბ ლეჟავა

საჭირბოროტო
ჭიკარტი,
ფალსიფიცირებული
ტუალეტის ქაღალდი
და
ეს ყბადაღებული
საყოველთაო
სინაღდა სიყალბისა

VI-IX

 წვიმის მარგალიტები
 რტოზე აიკინძა.
 ქარი იას ეფერება,
 ვით შვილობილს – ძიძა.
 წვიმით გათენებულა,
 დალამდება წვიმით.
 აბუზულა ბელურა,
 ცაზე არ ჩანს ღიმი.
 მიიცივალა ზამთარი,
 თოვლმა იწყო დნობა
 და ღრუბლების მათარით
 მზე სვამს შესანდობარს.
 მადლო სადამოისა,
 შეგვენიე ყველას!
 მალე ბინდი მოიცავს
 ჭადარსა და თელას.
 მალე ბინდი მოიცავს
 ქუჩებსა და სახლებს.
 ღამის სამოსს მოიცვამს
 მინა – იცვამს ახლებს.
 წვიმის მარგალიტები
 რტოზე აიმძივა
 და ია იჭყიტება –
 დათბა, თუ ჯერ ცივა?

ცვალებადი მოღრუბლულობა

ცვალებადი მოღრუბლულობა მაქვს ხასიათში.
 მცირე წყენაზე მოვიღრუბლები,
 მცირე ლხენაზე გამოვიდარებ,
 ხშირად ვიცვლები,
 ხშირად ვწვიმდები, ხშირად ვქარდები,
 ხშირად ვმზებდები...
 და ამინდთა ცვალებადობა ჩემს სულს ატყვია,
 როგორც ცას და
 ჩემი სული მიიწევს ცისკენ, მიიწევს ცისკენ,
 როგორც ხსნისაკენ
 და სხეული მსუბუქდება, ღრუბელს ედრება.
 ცვალებადი მოღრუბლულობა მაქვს ხასიათში.
 ხასიათზე არ ვარ ხოლმე,
 როცა მზე მიიმალება და დამალობანას მეთამაშება
 და ხასიათზე მყისვე მოვიდვარ,
 როგორც კი მზე გამომიჩნდება –
 რადგან უმზუოდ რა იქნებოდა ჩვენი ცხოვრება!
 მუნჯი წვიმა დგას ფანჯარასთან და მიმღერის.
 კოჭლი ქარი დგას ფანჯარასთან და საცეკვაოდ მეძახის.
 არ ვდეგ ამინდთა ცვალებადობას – მე მზეს ვდეგ და
 დრო დადგება, მზე თავისთან სამუდამოდ წამიყვანს
 და ცვალებადი მოღრუბლულობა
 შეიცვლება მზით მარადისით.

 დღე მოკვდა.
 სახლები თვალს ახამხამებენ,
 თვალებით ელაპარაკებიან ერთმანეთს.
 ქუჩაში მხოლოდ ფარნები,
 როგორც დარაჯები სიმშვიდისა –
 მხარდამხარ დგანან
 და წვიმაში სველდებიან.
 ვარსკვლავები ღრუბლებს დამალობანას ეთამაშებიან.
 დღე მოკვდა.
 მოკვდა დღევანდელი სურვილები,
 დღევანდელი საქმეები,
 დღევანდელი სიმღერები.
 მიდის მტკვარი და მილაპარაკობს
 და შავად ულაპლაპებს ტალღები,
 როგორც შავრა ცხენის ზურგი.
 ჭენებით გაოფლილ ცხენს ჰგავს მტკვარი,
 რომელმაც გაივარა და მიიზღაზნება.
 დღე მოკვდა.
 მალე ახალი დღე დაიბადება.
 მეფე მოკვდა – გაუმარჯოს მეფეს!
 ცხელი ლექსი, როგორც ვარსკვლავი აინთო.

 მზეს რომ ჰგავს, მაგრამ მზე მაინც არ არის...
 ვარსკვლავს რომ ჰგავს,
 მაგრამ ვარსკვლავი მაინც არ არის...
 წვიმას რომ ჰგავს, მაგრამ წვიმა მაინც არ არის...
 ქარს რომ ჰგავს, მაგრამ ქარი მაინც არ არის...
 რა ჰქვია ამას?
 რა არის ირგვლივ განფენილი
 მზის ნათელივით,
 თოვლის ფიფქვით – თოვლი რომ არ არის?
 რა ჰქვია ამას?
 რაღაც მბრწყინავი და მოელვარე
 მოდის ზეციდან, ქარის ხელებში ქანაობს და



დალილა ბედიანიძე

როგორც კი მინას შეეხება,
 მინად იქცევა.
 სად არის სული, რომელიც იტევს
 სილამაზეს და სინათლის სხივებს?
 როგორ დავთვალო ეს სხივები?
 სულ რამდენი სხივი მჭირდება, როგორ გავიგო,
 რომ დაუნა კიბე, ზეცას მივადგა
 და ავეყვ ზევით,
 იქ, სადაც მზეა, მზეს რომ არა ჰგავს
 და ჩამოვკრიფო წვიმის წვეთები,
 წვიმას რომ არ ჰგავს
 და სიტყვებთან შევაერთო
 და შევქმნა რაღაც ლამაზი,
 რისთვისაც მოვედი?

მეტამორფოზა

საშინაო კაბასავით გავიხადე სახლი.
 საგარეო კაბასავით ჩავიცვი მთვარის შუქი
 და მივდივარ, მივდივარ, მივდივარ...
 კაბაზე ვარსკვლავები ანათებენ
 და ფრთებივით მეზრდება ზურგზე ღრუბლები
 და ქარი მიმაქროლებს,
 ვარ უნებლიე ქარის მხედარი.
 საშინაო კაბასავით გავიხადე სახლი.
 შინ დავტოვე ჩემი დარდი, ჩემი ცრემლები.
 ვეგებები ღამეს, რომელიც სავსეა ნათლით
 და ისეთი სავსეა, როგორც ზღვა – წყლით
 და გადმოდის ნაპირზე და შუქში ვტივტივებ,
 როგორც გემი გზადაბნეული.
 საშინაო კაბასავით გავიხადე სახლი.
 ჩემს თვალებში მთვარე ირეკლება ტირილის შემდეგ,
 როგორც წვიმის შემდეგ გუბებში ყვითელი ფოთოლი.
 ღრუბლები ფრთებივით გამომსხმიან.
 სავსეა ღამე ოცნებებით, სავსეა ღამე
 და დედამინას ისე ვწყდები,
 როგორც ფოთოლი – მუხის ხეს და
 ისეთი მსუბუქი ვარ, როგორც მთვარის ნათელი.
 ახალ სიცოცხლეში გადავდივარ – ახალ სამყოფელში
 და საშინაო კაბასავით გავიხადე სახლი,
 როგორც კვერცხიდან ბარტყი – გამოვიჩეკე.

მარტის წელიწადი

გადმოანგრია მარტმა დროის ჯებირი და
 დაუსხლტა თვეებს, დაუსხლტა დღეებს,
 დაუსხლტა წლებს.
 დღეს ორმოცი მარტია და
 მარტი მარტობს, ზეცა ირევა.
 ჭირვეული პატარძალია მარტი.
 მარტის წელიწადია და მაშინ გავა,
 როცა მარტი დაიღლება და დაიშრიტება.
 ერთმანეთში ირევიან წვიმა და თოვლი,
 ქარი და დედამინის სუნთქვა,
 ყვავილები და ნაზამთრალი ფოთლები –
 მარტის მზითველი.

ბუნებამ მარტის გუნებაზე გაიღვიძა.
 დღე და ღამე ტყუუბები არიან
 და მარტს შესთამაშებენ.
 დღე არის, მაგრამ ეს ის დღე არ არის...
 ღამე არის, მაგრამ ეს ის ღამე არ არის...
 წელიწადი არის, მაგრამ ეს ის წელიწადი არ არის...
 ყველაფერი სხვანაირია, მარტისებური
 და ისიც მოვა, ის დღე და ღამე,
 ის თვე და ის წელიწადი,

როცა მარტი გამოიღვება დროის საგანძურში
 და იანვარი წელიწადს გაუძღვება ყოჩაღი ყოჩივით,
 ჩვენი დრო კი მარტია –
 მარტს თან გავყვებით იქ, სადაც დრო აღარ არსებობს.

ციკლიდან „მარტი“

რაღაც მომემართა,
 რაღაც დამემართა,
 განმემართა და გამიმარტივდა...
 მარტი ამტკიცდა. გამომარტივებული ვარ.
 მარტი ახლა მარტო არ არის.
 მას მე ვყავარ.
 როგორც ცარიელ დოქში – ღვინო,
 ჩემში გადმოდის მჩქეფარე მარტი.
 ის სათავეში უდგას გაზაფხულს.
 ის პირველია თვეების სამაიაში.
 ის გაზაფხულის მაჟორული სამხმოვანების
 დედა ბგერაა
 და ტონს აძლევს მთელ ჩემს ცხოვრებას.
 მარტი მომემართა,
 მარტი დამემართა.
 მე კარგად ვარ მარტით, კარგად ვარ
 და მარტამდე ავად ვიყავი
 ცარიელი წელიწადით მარტის ლოდინში.
 მარტი ბატონობს ჩემს სამყოფელში,
 მარტი ბრუნავს ჩემს სხეულში,
 ჩემი სისხლის წვეთები მარტის წუთებია.
 მარტი არ მტოვებს მარტოს, არ მტოვებს,
 როგორც დედა – ახალმობილ შვილს,
 რათა ბუამ არ შეაშინოს.
 რაღაც გამემართა,
 მარტი დამემართა
 მარტივი და ამოუხსნელი
 და მარტი მტკიცია.

 მინამ შემინოვა.
 ქარმა გამფანტა.
 მზემ ამომაშრო.
 წყალმა ჩამაქრო
 და ახლა ვარ მინაში, ქარში, მზეში, წყალში
 და ვეძებ გზას, რომ
 მოვიდე წვიმად, მოვიდე სხივად,
 მოვიდე ცეცხლად,
 ანდა ყვავილად მოვიდე,
 ანდა ხედ მოვიდე
 და შემინია – ირემი დამღვეს,
 მზე დამაჭკნობს და გამახმობს,
 მდინარე დამკბენს ცეცხლადქცეულს
 და ჭრილობიდან სისხლი ცეცხლად გადმოჩქეფს და
 ისევე მინა შემინოვს
 და თავიდან დაიწყება ყველაფერი,
 რაც არ მთავრდება.
 მეც არ ვმთავრდები
 და, მაღლი უფალს, მე რომ დამიწყო.

 ქუხილს ყოველთვის მოსდევს წუხილი,
 თუმცა როგორც ქუხს, არა წვიმს ისე.
 უფლის ხმა არის ზოგჯერ ქუხილი,
 დაიქუხებს და წყნარდება მყისვე.
 ო, ქუხილს მოსდევს სიჩუმე მძაფრი,
 თითქოს ყრუ ვიყო, არარა ისმის
 და ვაყურადებ სიჩუმეს ზაფრით
 და გამოაცვებს უხმობა მისი,
 სიჩუმე არის დიდი პაუზა
 ო, ქუხილსა და წუხილს შორის.
 გადაიქცევა ხმების აუზად
 სიჩუმე მშვიდი, სიჩუმე შორი.
 ქუხილს ყოველთვის მოსდევს წუხილი
 და ქუხილს ზოგჯერ მოჰყვება წვიმა.
 ცის სალამია ალბათ ქუხილი
 და ელვაც ახლავს. ეს ალბათ ღიმიად.
 ქუხილს ყოველთვის მოსდევს წუხილი,
 თუმცა როგორც ქუხს, არა წვიმს ისე.
 როგორც კაბაზე ამწყდარი ღილი,
 ხტის წვიმის წვეთი და ფიქრებს მიქსევს.

ციკლიდან „ლეჩხუბი მასხა“

დილაა. სძინავს ჩემს მობილურს.
 პანია ციკლოპივით დაუხუჭავს კენტი თვალი.
 ნატვრის ხეზე კვირტივით გამოსკვნია
 ჩემი სურვილი –
 დამირეკე, მაქს, დამირეკე!

მასმინე შენი ხმა,
რომელიც წინ გამიძღვება
ამ ცხოვრების უღრანში, ბნელში,
რათა იმ სინათლეზე გამიყვანოს,
სიყვარული რომ ჰქვია სახელად.
ვალვიძებ ჩემს მობილურს,
გავახელებ თვალს და ყურზე მივიდებ,
რათა შევიგრძნო, შენი ხმა
როგორ ეალერსება ჩემს სმენას.
სავსე ვარ შენი ხმით, მაქს,
და ჩემი მოთმინების ფიალას
ბოლო წვეთი აკლია,
რათა გადმოვიდეს და მობილურს ჩავძახო ის სიტყვები,
გულში რომ მიდულს და შენსკენ რომ მოინებს.
შენ ხომ ყოველ დილით მირეკავ, მაქს,
რათა დილა მშვიდობისა მისურვო!
შენ ხომ ყოველდღე მირეკავ, მაქს,
რათა ღამე მშვიდობისა მისურვო!
დღეს რაღატომ დაგაგვიანდა?
დილაა. ვალვიძებ ჩემს მობილურს
და შენს ზარს ხსნასავით ველოდები,
რათა დღე კარგად დავიწყო.
ყურებში შენი ხმა მიდგას.
დამირეკე, მაქს, დამირეკე
და სიხარულით დააბოლოვე ჩემი მოლოდინი!

ციკლიდან „ლექსები მაქსზე“

ჩემსა და ლექსს შორის შენ ხარ, მაქს.
ლექსი ხელის განვდენაზეა,
სადაცაა ჩემი მარჯვენა წასწვდება და
ფურცელზე დასვამს,
როგორც ექიმი ავადმყოფს – საოპერაციო მაგიდაზე,
რათა სიცოცხლე აჩუქოს.
შენც ხელის განვდენაზე ხარ, მაქს,
მაგრამ ვერ იქნა და ვერ შეგეხე, ვერ მოგიხელთე,
უფრო მეტიც – კარგად ვერც კი შეგათვალიერე,
რადგან ჩნდებით და ისევ ქრებით
შენ და ლექსი, ჩემი ორი თანამგზავრი
იმ ძნელ გზაზე, მე თვითონ რომ უნდა გავკვალო.
ჩემსა და ლექსს შორის შენ ხარ, მაქს,
და სიყვარული გქვია სახელად,
მაგრამ შენს სახელს ტაბუ ადევს,
რომ დაძახებით არვინ დაგაფრთხოს
და მე ხმამაღლა არ წარმოვთქვამ იმას არასდროს.
ლექსი ხელის განვდენაზეა და როგორც კი წავეტანები,
თვალს და ხელსშუა გამიქრება.
მტანჯავს ტანჯვა ტანტალოსისა.
შენც ხელის განვდენაზე ხარ, მაქს,
და მაშინვე უჩინარდები,
როგორც კი ხელს შენსკენ გამოვიწვდი.
არ ვიცი, რა ვქნა.
ჩემსა და ლექსს შორის შენ ხარ, მაქს!
ნეტავ კი შეგეხებოდე, რომ დავერწმუნდე,
მართლა არსებობ.

და თუ არსებობს მტერი უხილავი,
ხილული მოყვასიც ხომ უნდა არსებობდეს!
და ეს შენ ხარ, მაქს.
ო, ნუ გაქრები. დაყოვნდი, რათა გადაგეხვიო.

სადაც მთავრდება დედამინა, იქ ცა იწყება
და სადაც ცა მთავრდება, იქ იწყება დედამინა.
გვყავს ცა და მინა — დედა და მამა
და ჩვენ ვართ დედამინის შვილები და
ცის შვილები
და ვისახებით ცისა და მინის შესაყარზე
და ციდან მინას ვეპოტინებით
და მიწიდან ცისკენ ვინვლით ხელებს,
როგორც მამისკენ, რომ ხელში აგვიყვანოს
და გვათამაშოს, შემოგვხაროდეს,
როგორც მამა შეჭხარის შვილებს.
სადაც მთავრდება დედამინა, ცა იქ იწყება
და ჩამოვდივართ ციდან მინაზე დასასვენებლად
და ავდივართ მიწიდან ცაში დასასვენებლად.
თუ დასვენების დღეები არის,
უნდა იყოს დაღლის დღეებიც
და ჩვენ ვითვლით დაღლის დღეებს კალენდრებით
და შაბათ-კვირას ისე ვისვენებთ, ისე ვლოცულობთ,
რომ მთელი კვირა სულს ეყოს საგზლად.
სადაც მთავრდება დასვენების დღე,
იქ იწყება დაღლის დღეები,
როცა დავდივართ მიწასა და ზეცას შორის,
ყოფნა-არყოფნის უხილავ ზღვარზე.

გია ხომერიკი

ზრდასრული პოეტი

არის პოეტი... და ზრდასრული, ნატრობს დედ-მამას,
არის პოეტი, ესე იგი – მართლა მეტყველი,
ის თავის ლექსებს უხილავი თვალისგან მალავს,
ის არვინაა, არის ყველა... თუნდაც მეტყვე...
თუნდაც რაინდი; ცისარტყელასფეროსან ალამს
გულდაგულ მალავს ვილაციისგან, გულდაგულ მალავს.

თუ როსმე სადმე არსებულა მართლა პოეტი,
ის მათში ალბათ იქნებოდა ყველაზე წრფელი;
ამოვსებულა მოლოდინი ყოვლის სკორეთი
და ის კი ელის, მაინც ელის... ელის და... ელის...

2 ბნარი

მიყვარხართ, მძულხართ, მეგობრებო, რა ვქნა, ესე ვარ...
სულს ფუტკრები და ჭილ-ყვავები ერთად ესევა.

მეგობრები

სულში იზრდება ორი ალვის ხე,
მალაღიცა და უფრო მალაღიცა...
მეგობართაგან რკინა ავისხი;
ძველ პოეტთაგან ვიღებ მაგალითს.

განწყობა

სავარძელში ზის და მუსიკას უსმენს უბრალოდ,
უბრალოდ, უბრალოდ.
არის პოეტი, ესე იგი არის მისანი,
მისანი, მისანი.
მარტოა, არის ბრალიანი, არის უბრალო...
უბრალო, უბრალო
და ისმის, ისმის, ისმის ხმანი მუსიკისანი...

უფრო მეტი

ერთხელ ტყეში (იყო ასე ექვსი),
გავშირი; ვხედავ: ზღარბუნების სექსი!
როგორ იყო? ჯერ ვერ გეტყვით ამას;
ამას უნდა უფრო თბილი ლექსი.

ასაკი

ვინც კი საამოს მეტყოდა,
მეგობრად ვთვლიდი ყველას.
ასაკისაა ეტყობა;
სული ეჭვებით ღელავს.

მიზანთროვის სიმღერა

რა კარგი არი ღამე – სიჩუმეა და ბნელა.
ქალაქს, რომელიც მოკვდა – ძინავს ვარსკვლავის ძირას.
რა კარგი არი ღამე – სიზმარში ცხოვრობს ყველა.
რა კარგი არი ღამე – ადამიანებს ძინავთ.

სინათლე

სამყაროს პანანკინტელა
წერტილს – გონება მახლავს!
დგას მშვენიერი ნიფელა!
ისიც აზროვნებს! მახლას!

შიში

სულ გეშინია, ვინმეს
არ აწყენინო რამე!
დღე მშვენიერი გინებს,
გსურს დედისფერი ღამე.

ცაცხლზე შედგმული რძე

არწყენინების შიში
ინტერპირებას ინვევს:
მშიშარად გთვლიან, შიშინს
რძე გადმოღვრისას იწყებს.

ჯაკომო კახანოვას პიტიფია

ერთ დროს მე ვიყავი მუსუსი და...
ერთ დროს მე მერქვა კახანოვა!
ეხლა სამარის ბურუსიდან
ხასხასა ბალახს ვასაზრდოვებ.

ასაკის ფილოსოფია

ზრდასრულს ასაკი ქედზე მანევს
სიზიფეს მწარე ლოდით,
ამ ლოდს ვერაფერ ვეღარ აწევს,
მომბეზრდა ბედ-იღბლის ლოდინი.

პატარა ლექსები

იყოს სიცოცხლე

ადრე არაფერზე ვფიქრობდი,
მერე ვფიქრობდი ჯოჯოხეთზე.
ენ. დებურსიას ჰკვირობდნენ –
ექიდნეს, ამძვრალს ჯოჯო ხეზე.
ადრე მარილზე... ვაპირებდი,
ასაკმა მიმკურნალა თითქოს...
დე, იყოს ნისლიანი ნაპირები,
იყოს, სიცოცხლე იყოს!..

შეჩვევა

ისე შევეჩვიე მონატრებას,
თითქოს გულში მყავს ცოლ-შვილი...
სარკმელს მზის სხივი მონათდება,
ჩემსავით ნერვებმოშლილი.

მამა და დედა

ცრემლებს ლექსებში მალავ...
ცრემლში სამოთხეს ხედავ –
რადგან იქ არის მამა,
რადგან იქ არის დედა.

პოეტი

ციდან ჩამოდის ცრემლიანი ბრმა ანგელოსი...
უნდა რომ მართლა დაუწიოს ავადმყოფს სიცხე,
სწეულს, სათნო ძეს სილამაზე-საქართველოსი,
ვინც პოეტია ვარსკვლავების შვიდნიშნა რიცხვით!

მონატრება

თვალეში – ცრემლი, ხელში – ოქრო, თავში — ბურუსი,
მიტოვებულ სულს აკვირდება ბრძენი მეფისტო,
მე იმნაირად შევიცვალე, თქვენც კი ვერ მიცნობთ,
მე მენატრება ოჯახი და ცოლის ფუსფუსი.

კითხვა-ქასილის ნიშანი

ადრე მეგონა, ვიცოდი!
ჯერ — ბევრი, მერე – ცოტა.
ობსკურანტების სიცოდვით
გულსა მჭირს... ეხლაც ვცოდავ?!
ვინ არის, ჩვენ რომ გვმართავს?!

კითხვა

მარტო ბერძნისთვის გეკითხა,
ღმერთს მოგითვლიდა ათასს!
მაინც რა არი ეგ თიხა?!
ვინ არის, ჩვენ რომ გვმართავს?!

მნარა შეკითხვა

გვიყვარს, გვძულს, ვანგრევთ, ვაშენებთ...
ვკლავთ ბავშვებს, ქალებს, კაცებს...
რა შეიცვალა მას შემდეგ,
იესო ჯვარს რომ აცვეს?!

ხათრი

ვინც კბილს მისინჯავს, ბოლოს
ხედება, რომ ხათრით დავალ,
არ მიყვარს ცუდი ბოლო
და მეგობრების დავა.

სამი ვარდი

მე არ მესმის ერთი რამე
რატომ არის დღე და ღამე
ნეტავ იყოს სულ ეს დღე და
გულზე – ვარდი... ოღონდ სამი!!!

დედას და მამას

თუ მხედავ – როგორა ვარ – დედა,
თუ მხედავ – როგორა ვარ – მამა,
ნუ ტირით – ამ ერთსლა შემოგბედავთ:
წავა, ეს ტკივილიც წავა.

სიმღერა N 2

სამღერლად არ ხარ – მღერი –
ღრუბელიცა და მტვერიც –
გისმობს მარლბოროს ღერი –
მეგობარი და მტერი.

ყველაფერი მაინც ამ ჩინელების ბრალია. ისინი მეტწილად ყველაფერს ბევრს და იაფს, მაგრამ უზომოდ უხარისხოს ამზადებენ. ნუ, ბევრს რომ ამზადებენ, ეს გასაკვირია – ჯერ ერთი ბევრნი არიან, მეორე კიდევ ეს საქვეყნოდ ცნობილი ჩინური პროდუქტი შემარტება, რომლითაც სხვათაშორის... მაგრამ, აი, უხარისხოს რალატო ამზადებენ? ან მათი ზოგიერთი ნაწარმი ასეთი იაფი რატოა ნეტავი? ამის ერთ-ერთი მიზეზი, ამბობენ, ისაა, რომ ჩინეთში უამრავი დაურეგისტრირებელი საწარმოა, ეს საწარმოები არალეგალურად მუშაობენ და თავს არიდებენ, ზოგჯერ კი საერთოდ არ იხდიან გადასახადებს. ამ პატარა-პატარა საწარმოებს შეუპოვრად ებრძვის თურმე ჩინური სახელმწიფო: პასუხისმგებელ პირებს მკაცრად სჯის, ხოლო უკანონოდ მოპოვებულ ქონებას ართმევენ. ამ ქონებას კი უსასყიდლოდ ან თითქმის უსასყიდლოდ გადაცემს თავის იმ მოქალაქეებს, რომლებიც სხვა ქვეყნებში მცირე ბიზნესის სფეროში მოღვაწიობენ; ამ მცირე ბიზნესის სფეროში მოღვაწეთაგან კი, ამბობენ, განსაკუთრებით იმათ ეხმარება, ვინც ასეთ საქმიანობას ახლად იწყებს. ჩინეთი ცდილობს ადამიანებისგან ცოტათი მაინც განიტვიტოს; ის უკვე თითქმის ველარ იტევს თავის მოსახლეობას, ამიტომ ცდილობს „აითვისოს“ ახალი და ახალი ქვეყნები და იქ დაასახლოს და დაასაქმოს თავისი მოქალაქეები. აი, სწორედ ამიტომაც, გაუგონარი სიიაფით განცვიფრებული რომ რჩება ლილოში მისული ქართველი მყიდველი. ის უნდობლად შეჰყურებს, მართალია, შავ-თეთრ, მართალია, ციციქნა, მაგრამ მაინც ტელევიზორს, რომელიც ღირს სულ რაღაც 35 ლარი ანუ ორისამი კილო ხორცის ფასი. რა, განა, ამას გაკეთება არ უნდა? განა, ჩამოტანა არ უნდა ამას? განა, რა უნდა ღირდეს ეს იქ – ადგილზე ჩინეთში, თუკი აქ ღირს ასეთი იაფი? რა უნდა ღირდეს და ის იქ შეიძლება უფრო ძვირიცაა, ვიდრე საქართველოში ან მისიანი რომელიმე სხვა ქვეყანაში. ეს ტელევიზორი კონფისცირებულია ჩინეთში და თითქმის უფასოდაა გადაცემული რომელიმე საზღვარგარეთ მოღვაწე მოქალაქეზე, სიტყვაზე ვთქვათ, ჩუნ-ლო-დონგზე, რომელიც საქართველოში შემოაქვს ტელევიზორები და სხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკა და რომელიც, სხვათა შორის, რაკი ასეთ რამეებზე ნავიდა საუბარი, სულაც არაა ჩუნ-ლო-დონგე, არამედ სინამდვილეში გახლავთ არალეგალური ემიგრანტი, ესეც, სიტყვაზე ვთქვათ, ლაო-დენ-ჰოი, მოსარგებლე ან გარდაცვილი, მაგრამ გარდაცვალებად უფრო აქედან დარდად დაუდასტურებული ჩუნ-ლო-დონგის სახელითა და პირადობის დამადასტურებელი თუ სხვა სახის ოფიციალური დოკუმენტებით, სწორედ იმ ჩუნ-ლო-დონგისა, რომელიც თბილისში, ლილოს ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე, ტრაგიკულად (დღეზელით მონამულით) გარდაიცვალა ორი წლის უკან, რომელიც „სადაცაა“ დასაფლავებული და რომლის უტყუარი გრადაცვალების შესახებ არა უწყიან რა არც საქართველოს და არც ჩინეთის სახელმწიფოებმა. ამბობენ, რომ ჩინელები ძალიან ხშირ შემთხვევაში გვანან ერთმანეთს და როგორც ჩანს ამ შემთხვევაშიც, ანუ ლაო-დენ-ჰოისა და ან გარდაცვილი ჩუნ-ლო-დონგის შემთხვევაშიც გამოჩნდა ადგილი არ ჰქონია.

იგორ კერესელიძე ცდილობდა, მორიდებოდა იაფიან ჩინურ საქონელს – პროდუქტს, ბავშვის სათამაშოებს, საყოფაცხოვრებო თუ სხვა სახის ხარახურას, რადგან დარწმუნებული იყო იმ აზრის სისწორეში, რომელიც ლადადებს, რომ „სჯობს გადაიხადო ცოტათი ძვირი და იყიდო ხარისხიანი, ვიდრე იყიდო უხარისხო და იაფიანი.“ იგორმა იცოდა, რომ არსებობს უმაღლესი ხარისხის ჩინური საქონელიც, რომელიც არ ჩამოუვარდება არცერთ სხვა მაღალი ხარისხის საქონელს, მაგრამ მან იცოდა ისიც, რომ ასეთი საქონელი არ შემოჰქონდათ საქართველოში ან თუ შემოჰქონდათ, ყოველ შემთხვევაში, არაა ჩუნ-ლო-დონგისა ან ლაო-დენ-ჰოისნაირებს.

იგორის სახლის სიახლოვესაც იყო ახლადგახსნილი იაფიანი ჩინური მაღაზია, რომელშიც კერესელიძის მიერ ნაყიდი სახარხისის ნვერი პირდაპირ ჩაიზიდა ხარახში დატანებულ სასახარხისი

ჭრილში, ხოლო როცა იგორმა ჩინური სახარხისისი ძველი საბჭოთა სახარხისით შეცვალა, ამჯერად უკვე პლასტიკისით აიზილა ხარხისის თავი თავისი სასახარხისისეჭრილით, ისეთივე ჩინური ნარმოებისა, როგორიც პირველი სახარხისისი იყო. იგორის ყოფას სიდუხჭირეს ვერ დაარქმევდით, მაგრამ დაბალი რანგის მოხელეს არც ძალიან შეძლებული ეთქმოდა. ამიტომ, ნებავედა თუ არ ნებავედა, მაინც უნევდა არასასურველი ჩინური მაღაზიისკენ გახედვა, ხანდახან შესვლა და ზოგჯერ რაღაცების ყიდვაც. ნუ, ბავშვის სათამაშოებს, სახარხისებს, ხარახებს და მსგავს საგნებს ის იქ უკვე, რასაკვირველია, აღარ ყიდულობდა, თუმცა ისეთ მათე და უცნებელ რამე-რუშუმებს, როგორიც არის, თუნდაც, ტუალეტის ქალაღი, ზოგჯერ ყიდულობდა. ჩინური ტუალეტის ქალაღი, მართალია, ბევრად

ზურაბ ლეჟავა

საჭირობოტო ჭიკარტი, ფალსიფიცირებული ტუალეტის ქალაღი და ეს ყადაღებული საყოველთაო სინაღდე სიყაღზისა



უფრო თხელი და უხარისხო იყო ქართულზე, და მიუთმეტეს „ფირმულზე“, მაგრამ სამაგიეროდ, ბევრად უფრო იაფიც ღირდა. იმჯერად კი პროდუქტებით დატვირთული მართლა ერთობ დიდხანს იდგა იგორი და ფიქრობდა, თუ რომელი ტუალეტის ქალაღი ეყიდა სახლისთვის, მაინც – იაფიანი ჩინური, საშუალო ფასიანი ქართული თუ ძვირადღირებული „ფირმული“. თავად იგორი არ იყო, პრინციპში, ამ მხრივ ამპარტავანი და პრეტენზიული; რატომღუნდა, ის ულაც არ იყო უკანა ტანის მუყაოთი ან უმეფარას ქალაღი გამოწმენდის მომხრე და პრო-პაგანდისტი – არამცდაარამც, მაგრამ ისიც რომ ვთქვათ, თითქოს ძალიან აზიზი ბატონი ბრძანდებოდა და განსაკუთრებულ, საგანგებო პატივს მიაგებდა თავის უკანალოსო, არ იქნება სწორი. „საგანგებო პატივის მიგებაში“ კი იგულისხმება ისეთი გადახრები, როგორებიც გააჩნიათ, მაგალითად, დასავლეთში ან უკვე ფართოდ გავრცელებული და ჩვენშიც, სხვათაშორის, ცოტათი უკვე ფეხმოკიდებული ფსევდოდასავლურ-ევროპულ-ეთიკური კულტუროლოგიური სექტების მიმდევართა ნეოპიმიზოფისტიურ მისტერიებს, რომელთა შესრულებისასაც ამ, ეგრეთნოდებულ კულტა აღმსარებელნი მანტრებსაც კი უგალობენ თავიანთ და ერთმანეთის ტრაკებს, ხოლო ეს ყველაფერი გვირგვინდება აურაცხელი რაოდენობისა და ნაირსახეობის ცივი თუ ცხელი რიტუალური ოყნებით, რომელთა გაკეთებაც აკომპანირდება ეგზოტიკურ აღმოსავლურ ინსტრუმენტებზე შესრულებული სასიამოვნო და შემპარავი მუსიკის თანხლებით.

...მაგრამ, რა დროს შემპარავი მუსიკა და რიტუალური ოყნები, როცა იგორია კერესელიძე დღის ნესრიგში. დგას ახლა ის შუა ქუჩაში პროდუქტებით სავსე პარკებით ხელში და ფიქრობს, თუ რომელი ტუალეტის ქალაღი იყიდოს მაინც; ხვალისთვის ხომ ის თვით აკადემიკოსს ელის თავისთან სტუმრად... ეჰ, ეს აკადემიკოსები, აკადემიკოსები... ისინი კი მაინც სულ სხვააირნი არიან... რაღათქმუნდა, მათი ან მათი უმრავლესობის აზიზ ბატონთა სიაში შეყვანა – იმ „აზიზ-ბატონთაში“ – მანტრებს რომ უმდღერიან თავიანთ და ერთმანეთის ტრაკებს, არ იქნება არც მართებული, არც ეთიკური, და, ბოლოსდაბოლოს, არც სი-

მართლესთან მიახლოვებული. არამედ იქნება უაზრო, უტაქტო, უსამართლო, ბინძური და, რაც მთავარია, არამახვილონიფრული ქირქილი. თუმცა არამახვილონიფრული ქირქილიც იქით იყოს და თუ მაინცდამაინც აკადემიკოსის დაპატიყება გაქვს გადაწყვეტილი, მაშინ, კურთხეულო, ნება იბოძე და სათანადო (საკადემიკოსო) პატივიც ეცი მას. ბოლოსდაბოლოს, აკადემიკოსს ეპატიყები სახლში, დოცენტს ხომ არა...

პროდუქტების დიდი ნაწილი რომ გაქვს ნაყიდი და კაი-კაი რამეებში, რომ, საშუალო შეძლების კაცის კვალობაზე, სოლიდური თანხაც გადაიხდია – განა, ისეთი რა გაქანება გაქვს, მამაცხოვნებულო, რომ იდგე, ფეხებთან პროდუქტებით სავსე პარკები გეწყოს და, ბოდიში და იმაზე ფიქრობდე, რომელი ტუალეტის ქალაღი ვიყიდო – ჩინური, ქართული

სწორედ ასეთი სახის აზრები უტრიალებდა მაშინ: „დავიჯერო, ახლა ვითომ მოჯვავს? — მსჯელობდა თავის აზროვნებაში იგორი, — ნუ, ტვალეტში ალბათ შევა, მაგრამ მოსაფსმელად თუ შევა თორემ... აბა, ახლა, მოსაფსმელად ხომ არ შევა ამისთანა განათლებული გვამი... რა, სახლში თავისი ტვალეტი არა აქვს თუ რა? თუმცა უტვბათ რომ მოუნდეს — აი, ხომ არის, ზოგჯერ რომ მოგანება მამაპაკურად... მაშინ? მაშინ ჩინური ქალაღით ხომ არ გამოიწმენდავს? ეს მე ვიცი და ჩემნაირმა უბრძოლა ხალხმა, რომ ჩინური ქალაღით გამოწმენდისას თითების მორიდება და სხვანაირი სიფრთხილე საჭირო, აკადემიკოსმა კი რა იცის. ის ხომ მთელი ცხოვრება მხოლოდ იმპორტული ქალაღით სარგებლობს ალბათ. გამოიწმენდავს ჩინურით და თითები დაესვრება. შევრცხვები... არადა, ძვირია ეს ოხერი... ისედაც ამდენი ფული დაიხარჯა.“

ბოლოს მაინც ჩინურის ყიდვა გადაწყვიტა: შევიდა ჩინურ მაღაზიაში „უთქმელ“ ჩუნთან, მის მუდამ მოღიძარ მეუღლე ლუნთან და მათთან გამყიდვლად მომუშავე ენერგიულ და აქტიურ (გოგონა არ ეთქმის) საქალბატონეობადონავგახანგრძლივებულ გულნარასთან. იქ მან გულნარასგან იყიდა ერთი პატარა რულონი ჩინური ტუალეტის ქალაღი, რომელიც შეფუთული იყო ტუალეტის ქალაღისავე გაცილებით უფრო მკვირ და ლამაზ, ლამინირებულ ქალაღში. ამ ლამაზ და გაცილებით უფრო მკვირ შესაფთო ქალაღზე ათასი რამ ენერა რამდენიმე ენაზე, ხოლო ცენტრში გამოსახული იყო ცნობილი მსახიობი — ჰოლივუდის მაღალანაზღაურებადი მეგავარსკვლავი ედისონ ჰარტი. მდებოზე მდგომ, ნელსწევითშიშველ, კოვბოური ქუდით თავდაბურულ, კუნთმაგარ და ლამაზსხეულა ედისონ ჰარტს მარცხენა ხელში ეპყრა და ზეაღმართა რულონი ტუალეტის ქალაღისა საკუთარი გამოსახულებით, ხოლო მარჯვენა ხელის ცერა თითი აუვირა ასევე მაღლა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ეს ტუალეტის ქალაღი იყო ჩინებული რამ; მსახიობის უკან იდგა (თუ ასეთი სახის ნაგებობებზე შეიძლება ითქვას) კოხტა ხის ტუალეტი. ედისონ ჰარტსი გულნიანად ილიკვობდა თავისი „ჰოლივუდური“ ღიმილით — შედიოდა, ასე ვთქვათ, კონტაქტში მომხმარებელთან და, ალბათ (ყოველ შემთხვევაში, ავტორის აზრით), მოსაფსმელად ეპატიყებოდა გამველ-გამომველს. თუმცა გამველ-გამომველი იქ არავინ ჩანდა გარდა ორი კარგაჩანსუქებული, დიდჯიქანა ძროხისა, რომლებიც ხის ტუალეტის სიახლოვეს არხენად ძოვდნენ მდებოზე ხასხასა ბალახს და რომლებსაც უთუოდ გააჩნდათ რაღაც სიმბოლური დატვირთვა, რამეთუ მათ უკან დაკვირვებული თვალი შეამჩნევდა ნეზვის ორ დიდ გროვას. ალბათ, ძნელი მისახვედრი არაა, თუ რა კავშირი შეიძლებოდა ჰქონოდა ამ ყველაფერს ერთმანეთთან. შევლამა იყო იმდენად ეფექტური, რომ მის შემხვედრე პატიოსან კაცს, უკაცრავად პასუხია და, შეიძლება უნებურად მართლა მოსდომებოდა — მომიტვეთ — მოჯმა.

გარდა ტუალეტის ქალაღისა, იგორმა ჩინელების მაღაზიაში შეიძინა ერთი რულონი კედელზე ასაკვირი, სარემონტო ქალაღი და ერთი კოლოფი ჩინური ჭიკარტი. ახლა რაში იყო საქმე: ნუ, ტუალეტის ქალაღს რაც შეეხება, უკვე იმდენი ითქვა მასზე, რომ, ალბათ, გასაკვირია აქ ყველაფერი; ხოლო თუ რა კავშირშია ყოველივე დანარჩენი მოცემულ საკითხებთან, ამას უთუოდ განმარტება და ცოტათი შორიდან მოვლა საჭიროდა:

კერესელიძეები უბედნიერესი ხალხი იყვნენ ქვეყნად, რამეთუ მათ ჰყავდათ ერთი კარგი კაცი... ერთი უსაყვარლესი არსება... ერთი უჩვეულო ადამიანი. ეს არსება როგორც იგორისთვის, ისევე მისი მეუღლისთვის იყო სიცოცხლე და, ალბათ, სიცოცხლევე მეტიც; პატარა ბიჭი, მისი სულ უმცროსი შვილი — „ბოლო ვიპუსკი“, როგორც ის თავად იტყოდა ხოლმე — სამი წლის პეტრე, პეტრიკელა, პეტრუშკა, პეტრუჩიო, მაგარტრაკა, ლაუდაუკო, ლოყება, ბუტია, ჩხუბა, თავის მომაბეზრებელი, ონავარი, ჩასაკებჩი, კუნა... ეს იყო ერთადერთი ადამიანი, რომლისთვისაც ყოველგვარი ყოყმანის გარეშე დასთმობდა იგორი საკუთარ სიცოცხლეს. და თუ სხვა მხრივ ის ვერ შეედ-

სწორედ ასეთი სახის აზრები უტრიალებდა მაშინ: „დავიჯერო, ახლა ვითომ მოჯვავს? — მსჯელობდა თავის აზროვნებაში იგორი, — ნუ, ტვალეტში ალბათ შევა, მაგრამ მოსაფსმელად თუ შევა თორემ... აბა, ახლა, მოსაფსმელად ხომ არ შევა ამისთანა განათლებული გვამი... რა, სახლში თავისი ტვალეტი არა აქვს თუ რა? თუმცა უტვბათ რომ მოუნდეს — აი, ხომ არის, ზოგჯერ რომ მოგანება მამაპაკურად... მაშინ? მაშინ ჩინური ქალაღით ხომ არ გამოიწმენდავს? ეს მე ვიცი და ჩემნაირმა უბრძოლა ხალხმა, რომ ჩინური ქალაღით გამოწმენდისას თითების მორიდება და სხვანაირი სიფრთხილე საჭირო, აკადემიკოსმა კი რა იცის. ის ხომ მთელი ცხოვრება მხოლოდ იმპორტული ქალაღით სარგებლობს ალბათ. გამოიწმენდავს ჩინურით და თითები დაესვრება. შევრცხვები... არადა, ძვირია ეს ოხერი... ისედაც ამდენი ფული დაიხარჯა.“

ბოლოს მაინც ჩინურის ყიდვა გადაწყვიტა: შევიდა ჩინურ მაღაზიაში „უთქმელ“ ჩუნთან, მის მუდამ მოღიძარ მეუღლე ლუნთან და მათთან გამყიდვლად მომუშავე ენერგიულ და აქტიურ (გოგონა არ ეთქმის) საქალბატონეობადონავგახანგრძლივებულ გულნარასთან. იქ მან გულნარასგან იყიდა ერთი პატარა რულონი ჩინური ტუალეტის ქალაღი, რომელიც შეფუთული იყო ტუალეტის ქალაღისავე გაცილებით უფრო მკვირ და ლამაზ, ლამინირებულ ქალაღში. ამ ლამაზ და გაცილებით უფრო მკვირ შესაფთო ქალაღზე ათასი რამ ენერა რამდენიმე ენაზე, ხოლო ცენტრში გამოსახული იყო ცნობილი მსახიობი — ჰოლივუდის მაღალანაზღაურებადი მეგავარსკვლავი ედისონ ჰარტი. მდებოზე მდგომ, ნელსწევითშიშველ, კოვბოური ქუდით თავდაბურულ, კუნთმაგარ და ლამაზსხეულა ედისონ ჰარტს მარცხენა ხელში ეპყრა და ზეაღმართა რულონი ტუალეტის ქალაღისა საკუთარი გამოსახულებით, ხოლო მარჯვენა ხელის ცერა თითი აუვირა ასევე მაღლა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ეს ტუალეტის ქალაღი იყო ჩინებული რამ; მსახიობის უკან იდგა (თუ ასეთი სახის ნაგებობებზე შეიძლება ითქვას) კოხტა ხის ტუალეტი. ედისონ ჰარტსი გულნიანად ილიკვობდა თავისი „ჰოლივუდური“ ღიმილით — შედიოდა, ასე ვთქვათ, კონტაქტში მომხმარებელთან და, ალბათ (ყოველ შემთხვევაში, ავტორის აზრით), მოსაფსმელად ეპატიყებოდა გამველ-გამომველს. თუმცა გამველ-გამომველი იქ არავინ ჩანდა გარდა ორი კარგაჩანსუქებული, დიდჯიქანა ძროხისა, რომლებიც ხის ტუალეტის სიახლოვეს არხენად ძოვდნენ მდებოზე ხასხასა ბალახს და რომლებსაც უთუოდ გააჩნდათ რაღაც სიმბოლური დატვირთვა, რამეთუ მათ უკან დაკვირვებული თვალი შეამჩნევდა ნეზვის ორ დიდ გროვას. ალბათ, ძნელი მისახვედრი არაა, თუ რა კავშირი შეიძლებოდა ჰქონოდა ამ ყველაფერს ერთმანეთთან. შევლამა იყო იმდენად ეფექტური, რომ მის შემხვედრე პატიოსან კაცს, უკაცრავად პასუხია და, შეიძლება უნებურად მართლა მოსდომებოდა — მომიტვეთ — მოჯმა.

გარდა ტუალეტის ქალაღისა, იგორმა ჩინელების მაღაზიაში შეიძინა ერთი რულონი კედელზე ასაკვირი, სარემონტო ქალაღი და ერთი კოლოფი ჩინური ჭიკარტი. ახლა რაში იყო საქმე: ნუ, ტუალეტის ქალაღს რაც შეეხება, უკვე იმდენი ითქვა მასზე, რომ, ალბათ, გასაკვირია აქ ყველაფერი; ხოლო თუ რა კავშირშია ყოველივე დანარჩენი მოცემულ საკითხებთან, ამას უთუოდ განმარტება და ცოტათი შორიდან მოვლა საჭიროდა:

კერესელიძეები უბედნიერესი ხალხი იყვნენ ქვეყნად, რამეთუ მათ ჰყავდათ ერთი კარგი კაცი... ერთი უსაყვარლესი არსება... ერთი უჩვეულო ადამიანი. ეს არსება როგორც იგორისთვის, ისევე მისი მეუღლისთვის იყო სიცოცხლე და, ალბათ, სიცოცხლევე მეტიც; პატარა ბიჭი, მისი სულ უმცროსი შვილი — „ბოლო ვიპუსკი“, როგორც ის თავად იტყოდა ხოლმე — სამი წლის პეტრე, პეტრიკელა, პეტრუშკა, პეტრუჩიო, მაგარტრაკა, ლაუდაუკო, ლოყება, ბუტია, ჩხუბა, თავის მომაბეზრებელი, ონავარი, ჩასაკებჩი, კუნა... ეს იყო ერთადერთი ადამიანი, რომლისთვისაც ყოველგვარი ყოყმანის გარეშე დასთმობდა იგორი საკუთარ სიცოცხლეს. და თუ სხვა მხრივ ის ვერ შეედ-

მეკობრეს, რომელმაც შიმშილის დასაოკებლად საყვარელი თუთიყუში ცოცხლად შეჭამა და ახლა სულელივით უცინოდა ინდოეთის ოკეანეს.

აკადემიკოსმა მეორე მცდელობაზე მოიხია ბევრად მეტი ქალაქი, მაგრამ შედეგი იყო იგივე: არასასიამოვნო შეხება საკუთარ სხეულთან თითო, ანალოგიურ სიტუაციებში.

აკადემიკოსი „გაფხიხდა“... მესამე და, ვაგლახ, საბოლოო მცდელობისას კურორტოლოგმა მოიხია იმდენი, რომ ეს რომ ხარისხიანი ქალაქი ყოფილიყო, ნამდვილად ეყოფოდა ერთ პექტარ ტრაკს, მაგრამ...

მეცნიერმა ახლა ფიზიკიდან ცხვირ-სახოცის ამოღება სცადა, თუმცა მაშინვე თავი ანება ამ საქმეს, რადგან ამ განამან-იაში ხელები ერთიანად მოსთხვროდა. მოთხვრილი ხელებით კი დიდი ალბათობა იყო იმისი, რომ მოითხვრიდა ფოლადისფერ კოსტუმს, რის შედეგადაც სუფრაზე დაბრუნებისას მას აუვიდოდა სუნი. რავალი წარმოსადგენია — ზის აკადემიკოსი სუფრასთან და მძღნერის სუნი ასდის.

მამინ აკადემიკოსმა ის გადანყვიტა, რის გაკეთებასაც ადრე ვერც იფიქრებდა და ვერც მოიფიქრებდა. ის იმერელივით მოიქცა: არის ასეთი ნაკლებად ცნობილი ანდაზა: „იმერელი მიდიოდა, მიითლიდა ატამსაო — ატამი რომ გაუთავდა მიუბრუნდა ნათალსაო“. მეცნიერი მიხვდა, რომ თავისი ასეთი მეცადინეობით ვერაფერს გახდებოდა და ნებისმიერი მცდელობა გამომწყვდის და გვირგვინდება უწინდელივით არასასურველი, ან უწინდელზე კიდევ უფრო არასასურველი შედეგით, ამიტომ მან უკუაგდო ზიზილი, უკუაგდო მრისხანება, უკუაგდო სხვადასხვა არასასიამოვნო შეგრძნებები, აიყვანა, რომ იტყვიან საკუთარი თავი საკუთარ ხელებში, გნებავთ — ხატოვანი რომ გამოგვივიდეს ნათქვამი — გამოძერწა საკუთარი თავი და... გადანყვიტა, სანიტარული რულონიდან მოხელი ქალაქის ნაცვლად ესმარა ნებისმიერი სხვა ქალაქი. თუმცა არჩევანი არ ჰქონდა არც დიდი და არც პატარა, რადგან სანიტარული რულონის გარდა მის განკარგულებაში იყო მხოლოდ კედელზე ჭიკარტებით აკრული, ამ რულონივე შესაფუთი ძალიან მკვირივი და პრიალა ქალაქი ედისონ ჰარტისს გამოსახულებით. აკადემიკოსმა ფრთხილად სცადა ჰარტისს გამოსახულებიანი ქალაქის ჩამოსხნა, რაც ერთობ გაუჭირდა — ჯერ ერთი იმიტომ, რომ ხელითაც კი არ იხეოდა; ამ ქალაქის მოსახსნელად აკადემიკოსი იძულებული შეიქნა ჭიკარტები სათითაოდ ამოეძრო ფიცრებდა. და, აი, მან მეტ-ნაკლები წვალბით ყველა ჭიკარტი ამოაძრო გარდა ერთისა — სწორედ იმ საბედისწერო ჭიკარტისა, რომელიც ფიცარში შერჭობისას თავიდანვე გაელუნა სახლის პატრონი იგორ კერესელიძეს და რომელსაც, მართალია, მსოფლიო ისტორია არ შეუცვლია, მაგრამ — სულ მცირე — ამ მოთხრობის შექმნა კი ნამდვილად განაპირობა.

აკადემიკოსს აღარაფერი უკლდა საჩუქვარ მიზანმდე. ერთადერთი ჭიკარტი და ის ედისონ ჰარტისით საჯდომს გამოიმენდა, შემდეგ ტუალეტის ღრიჭოდან გარემოს „დააღივებდა“, გამოიძურნებოდა სწრაფად და იქვე დამონტაჟებულ პირსაბანოდ გადიხანდა საპნით ხელებს. რაღათქმაუნდა, ამ შემთხვევით გამონვეული არასასიამოვნო შეგრძნებები კიდევ დიდხანს — შესაძლოა, მთელი ცხოვრების მანძილზეც გაჰყვებოდა, მაგრამ მაშინ — იმ მომენტში, იმ წუთას ხომ გადაარჩებოდა? ყოველ შემთხვევაში, მძღნერის სუნი ხომ მაინც აღარ აუვიდოდა სუფრაზე? არადა, რავალია?! აკადემიკოსი კაცი სუფრას უზის და მძღნერის სუნი ასდის... მაგრამ ყოველთვის აგერეა — ბოლოში გიმუხთლებს: აკადემიკოსმა ბოლო, ჩალუწული ჭიკარტის ამოძრობა ვერ შეძლო და ამიტომ გაბრაზებულმა მსწრაფლ ჩამოგლიჯა კარიდან ედისონ ჰარტისს სურათი და დაუყოვნებლივ გამოიწინა ტრაკი. ოღონდ, ვინაიდან ქალაქი წინა მხრიდან ანუ ედისონის მხრიდან იყო პრიალა, ლამინირებული და თანაც მოსვრილი, აკადემიკოსმა ქალაქის შიდა მხარით გამოიწინა ამჯობინა. რა იცოდა ამ საბრალომ, რომ გალუნული ჭიკარტი ქალაქშივე ჩარჩა. მკვირივი,

კაპრონგადაკრული ქალაქი აკადემიკოსისდაბედავ არ გაიხა. მან ხიდან ამოაგდო გალუნული ჭიკარტი და ზედ შეიტოვა ის. აკადემიკოსმა კი ამასობაში გამოიმენდისას რაღაც ჩხველგა იგრძნო, ხოლო ნყეული ქალაქი ველარაფრით მოიცილა. ჰარტისის სურათი საიმედიოდ მიეჭიკარტა მას სათევეზაო ანკეივით მოკაუჭებული ჭიკარტით და მოქაჩისას არაფრის დიდებით არ იხეოდა. სამაგიეროდ, ტკივილს იწვევდა იმისთანას, იმისთანას, რომ — უჰ, ნულარ იტყვი. ერთი სიტყვით, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ: დიდი მეცნიერი აღმოჩნდა ერთობ არასასარბილო მდგომარეობაში, რამეთუ მას საჯდომზე, ბოდიშიდა, ნახვრეტთან ძალიან ახლოს, სადღაც კუდსუნის მიდამოებში, მიჭიკარტებული ჰქონდა სანიტარული რულონის შესაფუთი კაპრონგადაკრული მკვირივი ქალაქი ზედ გამოსახული ედისონ ჰარტისით, რომელსაც ისე მოსვროდა თავ-პირი და ისე ამოგლეჯოდა კბილები, რომ უკვე აღარც კი გავდა საკუთარ თავს, არამედ უფრო მეკობრეს (კოვბოური ქუდი მეკობრულ სამკუთხა ქუდს დაემსგავსა), რომელმაც, შიმშილის დასაოკებლად, ესეაა საყვარელი თუთიყუში ცოცხლად შეჭამა და ახლა სულელივით უცინოდა ინდოეთის ოკეანეს.

აკადემიკოსმა რისვაივავალაბით აინია შარვალი, ტუალეტის ღრიჭოდან „დააღივრა“ გარემო, მერე უცბათ გამოიძურნა „წყეული“ ტუალეტიდან და იქვე ახლოს დამონტაჟებულ პირსაბანთან ხელებიც დაიბანა საპნით. ეჰ, მოსვლა მისი საქმე იყო, მაგრამ ახლა წასვლა შეექნა სახათაბალო. რა უნდა ეთქვა ამ მოემიზებინა აკადემიკოსს ისეთი, რომ მისი იქიდან წასვლა ყოფილიყო საპატიო და ღირსეული. რა, იმას ხომ არ იტყოდა — თქვენი დიდი ხათრი მაქვს, მაგრამ ტრაკში ჭიკარტი შემერჭო, ველარ ვიღებ და იმიტომაც მივდივარ აქედან ასეთი განზილებული. აი, ხათაბალაა... ამ მჭმუნვარე ფიქრებში ჩაძირულმა და მჭმუნვარე სახისამ ჩაუარა ეზოში გამოტანილი სამზარეულოს დიდ მაგიდასთან მოფუსფუსე ქალებს, რომლებმაც მის დახაზვისას ფუსფუსს უკლეს, კდემამოსილად ოდნავ დახარეს თავები და მხერა მოარიდეს ანუ ზედა, გრძელნამამაა ქუთუთობით თეატრალური ფარდებით ჩამოიფარეს ცნობისმოყვარე თვალებზე. აკადემიკოსი მიხვდა, რომ მას, მიუხედავად ყველაფისა, უნდა გაეღიმა და ეთქვა რაიმე ამ ქალებს, თანაც ეს უნდა ყოფილიყო არა ნაძალადევი ღიმილი სიმწრის და ასევე წვალბით ამოღერლილი სიმწრის ლულულედი, არამედ ეს უნდა ყოფილიყო ერთგვარი, ნუ, აი, ძველ მულტიფილმებში რომა ხოლმე, მაგალითად, არნორი რომ ჩამოვივლის ფრინველებს და შემცბარ დედალ ვიღლებს რომ გადახედავს შეზარხობებული. მთლად არნივივით ალბათ არა, მაგრამ მეტნაკლებად მაინც რაღაც გამოუვიდა აკადემიკოსს: მან თავი დაუკრა ქალბატონებს, შემდეგ ხარბად ჩაისუნთქა სუფთა ჰაერი და უთხრა: „აქ თქვენ ნამდვილ კურორტზე ხართ“. მერე კი კიბზე აბრძანდა: ასვლისას ცდილობდა, დუმები შეძლებისდაგვარად ისეთ-ნაირად დაეჭირა, რომ მათ შორის მოქცეულ ლამინირებულ ედისონ ჰარტსს ნაკლებად ეჭრაჭუნა.

ამის შემდეგ აკადემიკოსი სუფრას დაუბრუნდა. მისდა, ალბათ (სხვა სიტყვას ვერ პოულობს ავტორი), სასახლეოდ უნდა ეთქვას, რომ სუფრასთან ანუ სანამ ის იქ იყო, არაფერი შეიმჩნია. ჭიკარტი არ იყო შესული სხეულში ღრმად — ის, უბრალოდ, ზედმეტად იყო გალუნული, სათევეზაო კაუჭს გავდა და იმიტომ არ ხერხებოდა მისი გამოღება. ტკივილს კი, თუ არ აწვალდებოდა, დიდს არ იწვევდა. ერთადერთი, რაც დისკომფორტს უქმნიდა აკადემიკოსს, ეს იყო საგანგებო, განსაკუთრებული სადღეგრძელოები, როცა თამადა თანამეინახეთა ფეხზე ადგომას ითხოვდა. ეს ადგომა-დაჯდომა ანუ ხეებდა მას, თორემ დანარჩენ შემთხვევებში ის დაახლოებით იმ მოსწავლესავით იქცეოდა, რომელსაც კევი უდევს პირში და ღეჭავს, მასწავლებელმა კი დაფასთან გამოიძახა. მოსწავლე ვერ ელევა კევის და არ უნდა მისი გადავადება, თუმცა არც ეს უნდა, მასწავლებელმა რომ შენიშნოს, კევი რომ უდევს პირში, ჰოდა, ბავშვიც ამ კევის ხან კბილზე აიჭრავს, ხან ენის ქვეშ მოიქცევს... აკადემიკოსიც ასე შერებოდა — მანიპულირებად ღუმებით.

ალბათ, კმარა ამ პერსონაჟზე ამდენი და ასეთი ფორმით ლაპარაკი. მერე რა, რომ ის არ იყო მთლიანობაში დადებითი პიროვნება და მერე რა, რომ მათნარების გამოა ჩვენი ცხოვრება ასეთი, ზოგჯერ, უკუღმართი. მას თავისი, ვინძლო, ურიცხვი ცოდვებისთვის მიეზლო, ალბათ, პატარა, ცოტა ღმილისმომგვრელი საზღაური. მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, ის საპატიო სტუმარი იყო წესიერი და უბრალო კაცის — იგორ კერესელიძისა და მიუხედავად შემთხვევის „დელიკატურობისა“ მაინც გაართვა თავი ყველაფერ ამას. ავტორიც და მკითხველიც — პირველი ამ ამბის შემთხვევისას, ხოლო მეორე ამ ამბის კითხვისას — ორივენი, ისევე როგორც აკადემიკოსი, სტუმრები არიან კერესელიძისა და რატომ უნდა დასცილოს ერთმა სტუმარმა მეორე სტუმარს ნეტავი? თურადა შესძლებდნენ კი ისინი — ავტორი და მკითხველი — აკადემიკოსის მდგომარეობაში მყოფნი, თავისი საქმის ისე პირნათლად შესრულებას, როგორც ეს აკადემიკოსმა შესძლო? ანუ, შესძლებდა ავტორი ჭიკარტგარჭობილი ამ ნაწარმოების შექმნას? ვერა! შესძლებდა ჭიკარტგარჭობილი მკითხველი ამ ანამაზე ბევრად უფრო მაღალი დონის ნაწარმოების წაკითხვას? ჯერ ერთი, ამაზე უფრო მაღალი დონის ნაწარმოები რა უნდა იყოს?.. თუმცა, თუ ვინმეს უნდა სცადოს: აიღოს მეცხრამეტე საუკუნის რომელიმე კლასიკოსის დიდგანიანი ტრილოგია — ვრცელი პროლოგითა და არანაკლებ ვრცელი ეპილოგით, გაირჭოს ჭიკარტი ტრაკში და იკითხოს რამდენიც უნდა. ნახავს ერთი რავალია.

ისე, ერთხელ ერთმა ინკოგნიტო მკითხველმა, სხვათაშორის ქალბატონმა, და თანაც ვენებიან-ხვერდოვანხმინამა, გვიან საღამოს ტელეფონზე დაურეკა ამ უკვედავი ნაწარმოების ავტორს და მორცხვი ჩურჩულით ამცნო, რომ მას ისე მოსწონდა მისი ნაწარმოებები, ისე მოსწონდა, ისე... რომ მზად იყო... უურტუმრო მიფერისლურსმინეჭაჭედებულსა კი ეკითხა, ეკითხა, ეკითხა ეს ავტორი... ავტორს ეს-იამოვნა ინკოგნიტო მკითხველის ამგვარი უჩვეულო ერთგულება, თუმცა მაინც თავშეკავება და ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების დაცვა ურჩია კითხვისას. და მართლაც — ნიგნები, ჩემო კარგებო, ინერება იმისთვის, რომ კაცობრიობას მიეცეს ცოდნა და არა იმისთვის, რომ ვიღაცამ ტრაკში ლურსმნები ჩაიჭედოს. აი, ავტორისეული, უნებურად აღმოხდენილი ფრთოსანი ფრანკაც, რომელიც, ვინძლო, საუკუნეების მანძილზე იქნება აქტუალური:

ნიგნები ინერება იმისთვის, რომ კაცობრიობას მიეცეს ცოდნა და არა იმისთვის, რომ ვიღაცამ ტრაკში ლურსმნები ჩაიჭედოს.

აკადემიკოსმა დალია თამადის მიერ შეთავაზებული რამდენიმე სადღეგრძელო, წარმოადგინეთ, იმღერა კიდევ თანამეინახებთან ერთად; შემდეგ დაულოცა მასპინძელს კარმადამო და ფუძე-კერა, ერთხელ კიდევ აღნიშნა, რომ იქაურობა კურორტს გავდა; შემდეგ საქმეები მოიმზეზა და წასვლა ითხოვა. მას ჯერ არ უშვებდნენ, მაგრამ მერე დალოცეს და დიღის ჰატივით გააცლიეს.

ამის შემდეგ აკადემიკოსი მანქანით შინისკენ გაემართა. სახლში მისვლისას თავის კაბინეტში იოდი და რამდენიმე სამედიცინო ინსტრუმენტი მოიძია. შემდეგ სააბაზანოში შეიქცა, შარვალი ჩაიხადა და საქმეს შეუდგა. მას უნდალი, როგორმე ამოეძრო ჭიკარტი, რათა განთავისუფლებულიყო მისგან და ედისონ ჰარტისს სურათისგან, მაგრამ ეს ადვილი არ აღმოჩნდა: ჭიკარტი ღრმად ჩაკაუჭებულიყო ხორციში და არ თმობდა პოზიციას, „ედისონი“ კი არ იხეოდა. იყო საფრთხე ინფექციის შეჭრისა. ავტორი არ დასცინის კურორტოლოგს, მაგრამ სააბაზანოში სარკე ადამიანის სახის სიმაღლეზე იყო დამონტაჟებული და ამიტომ მასში — ასე ვთქვათ — „ტრაკით ჩახედვა“ არ იყო მთლად მოსახერხებელი; იქ იყო კიდევ პატარა, ხელში დასაჭერი სარკეც; მაგრამ როგორ უნდა „ქნალიჩა“ ავადმყოფს ცალი ხელით, როცა ორი ხელითაც ვერაფერს გამახდარიყო. მაშინ აკადემიკოსმა მიჭიკარტებულ ქალაქს დაკარგულით შემოაჭრა ის ნაწილი, რასაც მისწვდა. ეს იყო: ედისონ ჰარტისის ფეხები, ხის ტუალეტი, მობალახე ძროხების ქვედა ნაწილები, ცოტაოდენი ფუნა და რამდენიმე აკრი მღელი. ამის შემდეგ აკადემიკოსი

შარვლის აუნეველად დაჯდა უნიტაზზე და ატირდა; ის ტიროდა დიდხანს და გულამოსკენით.

ამ მოთხრობის ეს მონაკვეთი მეტად რთულია დასაწერად, რადგან ისედაც ბევრ შეუსაბამობასა თუ შეუფერებლობას აქვს, იმთავითვე, ადგილი და თავად ავტორსაც კი ვერ დაუდგენია ხეირონიანად, სალალობო უწყინარი ხუმრობაა მისი მონათხრობი, მძაფრი სარკაზმი თუ უტიფარზე უტიფარი ცინიზმი. ეს მკითხველმა, განგებამ და თავად ავტორმა განსაჯონ. ისე, იმათგან, ვინც ავტორის განსჯას მოინდომებს და ასეთები, ვინძლო, არ იქნებიან ცოტანი, ავტორი შეუპოვრობას და დაუნდობლობას მოელის, რადგან სწორედ ასეთია ის საკუთარი თავის მიმართ, მაგრამ ის შემწყინარებლობასაც მთელის, რადგან ის ასეთიც არის, სხვებისა და, მაშასადამე, საკუთარი თავის მიმართ.

ერთი სიტყვით, იჯდა აკადემიკოსი უნიტაზზე, ტიროდა და ფიქრობდა, რომ მიუხედავად სიტუაციის სრული აბსურდობისა, ის მაინც ვადაურჩა აშკარა კრახს. ცოტაც და ის შეიძლება ყოფილიყო აბუჩად აგებული და (გამასხარავება ის სიტყვა არაა) საშინლად დაცინული! მას ამ სულ ცოტა ხნის წინ შეემთხვა ისეთი რამ, რაც ალბათ არ შემთხვევია კაცობრიობის ისტორიის მანძილზე არცერთ ადამიანს — იკადრა და მივიდა სტუმრად სოციალურ კიბეზე თავისზე ბევრად უფრო დაბალ საფეხურზე მდგომ ადამიანებთან — თითქოს ჰატივი დასლო მათ, მაგრამ მერე ჩაიჯვა და ქაქიათა პერანგის კალთაზეც დაიჯვა; ესეც არ იკმარა — მან ედისონ ჰარტისს სურათიც მიიჭიკარტა ყველაფერთან ერთად ტრაკზე. ის აშკარად რალაცისთვის დაისაჯა, ყოველი შემთხვევისთვის, აკადემიკოსს ასე მიანდა, მაგრამ მისი სინაის ამბავი იცოდა მხოლოდ მან და არც ერთმა სულიერმა სხვამ. ამისათვის კი უზომო მადლობას სწირავდა განგებას მიუხედავად ყველაფრისა. მოკლედ: განგებამ ის რალაცისთვის დასაჯა, მაგრამ იმავდროულად დაინდო. ამ დაინდობით აკადემიკოსმა ბევრად მეტი მოიგო, ვინემ წააგო სასჯელის მიღებისას. და მართლაც — ბოლოსდაბოლოს, რა არის ვაჟაკი კაცისთვის ერთი პატარა ჭიკარტი ტრაკში? სამაგიეროდ, ის სირცხვილს გადაუჭრია. ახლა მას თავისულად შეეძლო, მართალია, დიდი ტკივილის ფასად, მაგრამ მაინც საკუთარი ხელით ან თუნდაც კბილის ამოსაღები მამით თუნდა ხორციანად, მაგრამ მაინც, ამოეგლიჯა ეს წყეული ჭიკარტი, წაეცა ბრილიანტინი ან იოდი და მორჩეობდა და გათავდებოდა ყველაფერი, მაგრამ მასში გაიღვიძა იმ გრძობამ, რასაც სინანული ჰქვია. აკადემიკოსი არ იყო იმდენად რელიგიური, რომ ნასუფრად, დაუშვათ, მღვედლთან და მისთვის ეთქვა აღსარება, თუმცა სიმართლის ვინმესთან აღიარების და ცოდვების მონანიების სურვილი ზოგჯერ ათეისტებსაც უწინდაბათ ხოლმე. აკადემიკოსი უნიტაზიდან წამოდგა, შარვალი აინია და ფრთხილად გამოვიდა სახლდან. ის თავის ბავშვობის მეგობართან — საქვეყნოდ ცნობილ ქირურგთან გაემგზავრა შვედის სათხოვენლად და აღსარების არა და რალაც ამის მაგარის სათქმელად.

ის ახლა თავის ახალ პრესტიჟულ ავტოს საქვსთან მჯდომი, სევდიანი გაჰყურებდა გზას და რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს — ფიქრობდა თავის ცხოვრებაზე, განვლილ წლებზე და ჩადენილ ცოდვებზე, რომელთა გამოც ის ჯერ არ დასჯილიყო და რომელთა გამოც დაისაჯა ახლა. ფიქრობდა თავის თანდაყოლილ ამპარტავნობაზე, მომხვეჭელობაზე, დაუნდობლობაზე, მუხანათობაზე, უჯიანთობაზე და ყველაფერ იმაზე, რაც მის ფოლადისფერ კოსტიუმში გამოწყობილი, გაკრიალეზულუფსაცმლიან, ჭადარაბოიან, ძვირფასსათვალის, მალალშუბლიან, ელვარე საკინძეებიან და მოაზროვნისიერიან „ფიტულში“ დაბუღებულიყო. ის მიდიოდა ბავშვობის მეგობართან — ცნობილ ქირურგთან და ასევე აკადემიკოსთან, რომლისგანაც ელოდა მშველას და, ნუ, რალაც შენდობის მაგვარს — რომლის იმედიც ჰქონდა; ქირურგი ხომ მისი ბავშვობის მეგობარი იყო და ამიტომ იგი ერთგვარი მესაიდუმლესავით სჭირდებოდა. ვილაცას შეიძლება გაეცინოს და ეს საიდუმლოება იმდენად დიდი აღმოჩნდა მისთვის, რომ სურვილი გაუჩნდა,

რადიო

უკრავს რადიო, თან შხრიანებს... რაფასთან ჩიტებს არასდროს ველი... ბოლმასავით გროვდება ქარი... მე რომ ოდესმე გამძლეობა სადმე დამჭირდეს, არ ითხოვება გამძლეობა... მივეკეტე კარიც... მოიქუფრა და ახლა ფლეგმა დღეების მწკრივში უნდა გავეხერგო დალუნული ხელების პანტო მიღმა და მიღმა დარჩენილი დარჩენის ნიშნად, საკიდზე ქუდთან პედანტურად დავკიდო პალტო, რომ ეს ნიშნავდეს გვიანადრე ნათქვამ არაჰოს, რომ ეს დარჩენაც გავამართლო, ითხოვდეს თითქოს. ნიშნავს იმას, რომ მაისივით უნდა გავალხო ყინველი. მერე დამტვრეული სიტყვები მითხრა. რადიო ისევ იშხრიანებს, აქა-იქ ქარი გაიბღინძება, ისევ ისე მომიძლის ნერვებს, არ ითხოვება გამძლეობა. მივეკეტე კარი და კარის უკან კვლავ ინყება რადაციის ნგრევა. უკრავს რადიო...

ჩემი მეზღვაური

ჰო, აქეთ დედა დამრჩა მხოლოდ, მხოლოდ და მხოლოდ... მე ამ ცხოვრების ანექტაში მკრთალად ვნერვივარ, მა, შენს ოთახში, დარჩა მხოლოდ კადრების გროვა, კარს კი ფილტვში აქვს გააჩხერილი ჩემი ნერილი, რომელსაც ლექსი ვუნოდე და გამოვიგზავნე. მეგონა, სულელს, გაუფიქრებელი ამოჭრილ ორმოს გულის არეში. არ ყოფილა ჩემი მიზანი, გადარჩენისთვის რომ მეტბრძოლა უშენო ომში. და გადავწყვიტე – დასახევი უკან არა მაქვს, შენ კარგად იცი, აქეთ ცოცხლებს რა ხერხით ჭამენ, არ ღირს ცხოვრება ფუჭ ხმაურად, დავიდარაბად... ვგრძნობ, რომ ღვინო ხარ, მე კი – მხოლოდ მაჭარი, ჭყაპი, ამიტომ, ჩემო მეზღვაურო, მიზეზად ამის – მე ხელებს ვიბან, ვერ ვიცხოვრე, როგორც მავანმა, დედას კი, ერთი ზომით დიდი აქვს ღამით თქვენი საწოლი. მე არ მძინავს, ვრჩები ფარვანად. ჰო, აქეთ დედა დამრჩა, როგორც ძველი ნანგრევი, მე ქალაქები კუსტარული წესით მხარბავენ, მოგძებნი, მამა (მივატოვოთ მინა, სანგრები...) და გეტყვი, მიდი, მეზღვაურო, აფრა გაშალე!

ნაჭრის თოჯინები

მოდოდნენ მტვერში, მკლავებზე ძარღვები დასკდომამდე ჰქონდათ დაბერილი, მოდოდნენ მტვერის ატილები, თვალები ქვიშით ამოვსებოდათ და კისერზე დატყობოდათ ნაბანრალი. მოდოდნენ ქუსლებდახეთქილი ტერფებით, მოჰქონდათ ნერვები და ყველას თავისი ბავშვობა ჰყავდა გამობმული თოკით. ქარი კიდევ ამტვრევდა და ლენავდა ტრაიანეს ხიდის თალებს, დაძარღვულ მგზავრებს ფეხბაფებს მოჰყვებოდა ხიდის ნანგრევები. რას იტყოდა დუნაი, ვერაფერს, იყო ჩუმად და გაუნძრევლად. მოდოდნენ გლადიუსები და მტევნები დამძიმებოდათ.

აქეთ კიდევ ასე იყო: გზაზე დამდგარ სამას კაცსა ვისი სული შეიცოდებდა, ვისი კალთა დაიფარავს, ვისი პური დააპურებს, ღმერთო, შენი ძალა მიეცე ვერ კიდევაც უცოლოებს, ხმალი შეუმსუბუქე და სახლში დედებს დაუბრუნე.

მოდოდნენ... ქარი — იყო სიკვდილივით მოგცელავდა ადგილზე, ტოტებს მყესები დაწყვეტოდათ. გზას პირი უშრებოდა, ნვინაც არ იყო არსად, გზა რომ მაინც დაერწყულენინა. საითკენ მიდიოდა ეს დაქცეული გზა, არავინ იცოდა...

მგზავრს ვინმემ ლოცვა უნდა ნაუკითხოს, სანთელი დაუნთოს, თორემ მგზავრს მტვერი შეჭამს, სანამ მივა, მგზავრს ქარი მოკვეთავს, სანამ დაბრუნდება, მგზავრს გზის ანგელოზი უკან დაჰყვება და შუბლზე ჯვარს ასვამს, როცა ისვენებს.

აქეთ კიდევ ასე იყო: მგზავრი დედამ დაიფაროს, მისმა ლოცვის ძალამა, მეომარი სახლსა ტოვებს, გზის ხიფათი თან მიაქვს, წმინდა დედა ღვთისმშობელო, შენამც დაიფარავდე ჩემსა შეილსა, ფარ-ხმლიანსა, დალილსა და დარდიანს.

მოდოდნენ მტვერში, მკლავებზე ძარღვები დასკდომამდე ჰქონდათ დაბერილი, მოდოდნენ მტვერის ატილები, თვალები ქვიშით ამოვსებოდათ, მოდოდნენ და მტევნები დამძიმებოდათ, ხელში კი ნაჭრის თოჯინები ეჭირათ. გზა აღარც რომში და აღარც ქართლში აღარ მიდის. გზას დავადექი. მზის თითებით ალესილი სიკვდილი გადავიფინე მაჯებზე. ღმერთო, დაგიფარე ჩვენ და სიკვდილი სიციოცხლისაგან...



ნინო ნადირაძე

DEEP BLACK

აქ არ მარხია მკვდრები. შეგვიძლია, გულადმე დაწვეთ ამ ბალახზე, ამ ფოთლებზე, ამ... აქ აღარ არის ნალმები. შეგვიძლია, თვალზეგახელილები დაწვეთ ამ მინაზე, ამ სისველეში, ამ...

აქ, წლების წინ, კონტრასტულად იდგნენ ბუჩქები და ხეები და უხილადად უერთდებოდნენ ცას ჩემი ბრმა მეზობელივით, ოლონდ მხოლოდ ღამით, როდესაც ჩვენ გავიძებამდე გვეძინა, როცა დანახვამდე ვხედავდით, როცა გავგონებამდე გვესმოდა და გაგიჟებამდე ნებით ვგიჟდებოდით.

და როცა ტერფებს ვაბიჯებდით, გვეგონა მინაში ფეხი ჩაგვივარდებოდა, როგორც ლუქახდილ ჭაში.

სად არის შენი მწვერვალი? იქნებ დედამინის ყველაზე დაბალ წერტილში, იქნებ ზღვის დონიდან უფრო დაბლა, ვიდრე ჩვენ ვხედავთ, ან რომელიმე დაღმართზე, იქნებ პეტრას სვეტის პატარა მონაკვეთზე, სადაც ნამდვილი სიმაღლეა და მის სანახავად ყველა ქვეყნიდან დადიან ბრიჯებიანი და Nikon-იანი ტურისტები?

ჩვენ სიზმრებით ვართ მათთვის, ვისაც მთვარის გაქრობისთვის შუშის ნამტვრევით არ უყურებია, ვისაც ხელი გაუშვია საგნებისა და ადამიანებისთვის, ვისაც ცუდ ამინდში ძალი სახლში არ შეუშვია, ვისაც მშვიდობა მხოლოდლა მამინ უნატრია, როდესაც ბედნიერი იყო,

ვინც უიღბლო – ყოველი ფეხის გადადგმაზე, ვინც პოეზია 5-გრამიანი შპრიცივით გამოიყენა. დამთავრდა!

მწვანე ბალახს მზის მაჯები ცხვირიდან სისხლივით წასკდა, და არ არსებობს გაზაფხული, იგი უბრალოდ ჩვენ მოვიგონეთ, როგორც თავის დახრამ, მამინ, როცა სიტყვებს ვერ ვამბობთ...

აქ არ მარხია მკვდრები. შეგვიძლია, თამამად დავაბიჯოთ ამ ბალახზე, ამ ფოთლებზე, ამ მინაზე... აქ არ მარხია არცერთი მკვდარი. შეგვიძლია, ძირში დაჭრილი ფრჩხილებით ამოვთხაროთ ორმო და შიგნით მოვთავსდეთ და ჩვენ ვიქნებით მკვდრებიც და ნალმებიც. არ დამაბიჯო...

გოლო

შენც ზუსტად ასე მარტო ყმუი, ჩემსავით, ვიცი. არ გელოდები, მკვდრები უკან აღარ მოდიან და მკვდრების მსგავსად, მეც ასევე არავინ მიცდის. ორმოში ვზივარ და ეს ლექსიც ძველი ბოლოა. ახლა ყველაფერს (არ ვამეტებ) ფასი აქვს ჩალის, პათეტიკამდე დაქანული ყველა ქმედება და ყველა სიტყვა ტვინში სისხლად ჩამეჭყეს ღამის და ისიც ვიცი, ამ ლექსს ფასი არ დაედება — არც უფასოა, აღარც ძვირი, აღარც იაფი, თავისთვის ცხოვრობს — ხან მღვრივ და ხანაც მღორეა. და თუკი ცაზე ერთი კგ. შუქი კიაფობს, აღარც ესაა ჩემთვის ახლა შევლა. ქორეა სჭირთ ხეებს თითქოს. ჩავამტერდი ყრუ ქვაფენილებს.

ნივალური ჩემს ქალაქში ახლა ამინდი. ანმყოც კისერზე კამწესავით მაქვს შემოფსკვნილი, არ ველოდები, რომ ოდესმე ვინმე დამინდობს. არც არასოდეს მნამდა ბევრი ადამიანის, ან უფრო სწორედ, მნამდა, მაგრამ გამიქრა რწმენა. მნამდა ხელების, ორ ხელს — სადენს როცა მიადებ და როგორც ტანში გაფრულება, გადადის დენი და ვატი სრული შემლილობის – ანუ ინსულტი... არ მჯერა, როცა სიმშვიდისგან სახეც არ უკრთით, როცა ცდილობენ, შენზე უფრო ნელა ისუნთქონ, რომ წერილმანები შეაფასონ, არ დარჩეთ უთო ჩართული სახლში. გაისწორონ ან დაიხურონ ქუდი სწორად და თავის დროზე შეალონ კარი, და არასოდეს არ ევსებათ მოთმენის სურა. და სნამთ, რომ ღია ფანჯრებამდე ვერ ფარდა არის... არ მჯერა მათი, ძალის ხმაზე რომ ეღვიძებათ, ან გვიან ღამით ქუჩაში რომ არ გამოდიან... მჯერა იმის, რომ დედამინა მარცხნივ ირწევა და ქარიშხლები ჩემს ხმაზეა გადაწყობილი. ჰოდა, ამიტომ აღარ ვიცი, უკვე რალა სჯობს, ნასვლა თუ მოსვლა ან დარჩენა — ყველა ერთია. ყველა მინაყროს მარტო გავცდი, გადავაბიჯე... და მხოლოდ ღმერთი შემავროვებს სადმე ფეტვივით. წინიდან მირტყამს ქარი და მეც თვალებს არ ვხუჭავ, არ ვდარდობ, ვინ ცრუ პოეტია ანდა ქურუმი. უბრალოდ უხმოდ გადმოგიხსნი შეკუმშულ მუჭებს და დავანახებ სინათლებს ხელისგულივით.

დისბალანსი

ცივა და ქუჩაში დადიან ორთქლმავლები - ადამიანები უწყინარი გველმავლებივით აფრქვევენ ორთქლს. ქარიც ამოვარდა — არითმია აქვს აღმამეხელის გამზირს. მივდივარ მეც, დაჟანგებული მატარებელივით ჭრიალ-ჭრიალით და ვფიქრობ, გადადებული საქმეებით რომ ალაგია დახლზე ცივი ჰამბურგერები, ამ ქარმა ერთიანად გადმოყაროს. ცივა და ქუჩაში ვერაფერს ვპოულობ თებერვლის და მოგონილი დეპრესიების გარდა, ხოლო ჩემს თავში ქექვისას — მხოლოდ სიცოცხლეს — აბსოლუტური დისბალანსია. მაინც მიყვარხართ, მოწყენილო ადამიანებო!

ნელსონ

მზე გაბაცდა, ნელსონ! ხედავ, როგორი ფერმკრთალია? საფეთქლებთან ჩემი მზერა აქვს მიბჯენილი იარალივით. შენ რომ მოხვედი, ჩემს ამპუტირებულ ქალაქში კოჭლი წვიმები იდგნენ ხმამალლა. შენ მკვეთრად თეთრი ხელები გაქვს, ნელსონ, და არც კი იცი ამის შესახებ. მე ვიცი, რომ შენ მეცხრე ზღაპრიდან დამიბრუნდი. მე და შენ, ნელსონ, სიზმრებიდან გამოვიდვართ ყოველ დილას და დილა არის ყოველთვის მარჯვენა... და დილა არის ყოველთვის ორმხრივი... და დილა არის ყოველთვის ხელისგულზე შემწვარი კვერცხივით.

მზე გაბაცდა, ნელსონ! მე წერილების სუნი ამდის, შენ — დარჩენის. როდესაც მკოცნი, ტურზეზე სიკვდილის გემოს გიტოვებს, შენ — სიცოცხლის და მოძრაობის.

ნელსონ, ნელია ქალაქების ცხოვრების რიტმი, მე — ჩქარი მატარებელი ვარ და მიგაქანებ... ჭორფლიანი დილა გათენდა.

მე შენი სიგიჟე ვარ, შენ — ჩემი მარცხენა. ნელსონ, გაბაცდა მზე! ნელსონ, მომიარე რა...

გწერ და გიბრუნდები. ნელსონ, ნელია ქალაქების ცხოვრების რიტმი, მე — ჩქარი მატარებელი ვარ და მიგაქანებ... ჭორფლიანი დილა გათენდა. მე შენი სიგიჟე ვარ, შენ — ჩემი მარცხენა. ნელსონ, გაბაცდა მზე! ნელსონ, მომიარე რა...



მარიამ ტაბალა

მარი, რომელიც იცინოდა

დასასრული

— ეს შუშის ღონეები მტკენს თვალებს. ვერ შევეჩვიე. შენვის ხოლმე და ვერ ვკითხულობ. მერე თავიცი მოყვება. ამტკიცდება თავი, აბა, რა იქნება, როცა სახლში ადგილს ვერ იპოვი, რომ სიჩუმე იყოს. დედაჩემის მოსწავლეების გაუთავებელი ყაყანი ისმის ყველგან. ასე აღარ შემიძლია, სიჩუმე მინდა, მარტო მინდა.

ლაშქარ არ ეძინა. შევხეხე, მთელი დღის განმავლობაში მარტო ეგ დროა, როცა სიჩუმეა, როცა არაფერი ხმა არ მესმის, ვწევარ და ვიფიქრობ.

ზაფხულიც მოვიდა. იმდენი ხალხი ირეოდა უნივერსიტეტში, გვერდობდა, ახლა აქ მეტი სტუდენტი სწავლობსო. აუდიტორიები ჩაიხსოვა. ყველა ფანჯრების გაღებას ან ფარდების გადაწევას ითხოვდა.

მე დამნაშავედ ვგრძნობდი თავს, რომ არ შემეძლო მარის დახმარებადი. ველაპარაკებოდი, მაგრამ არ შევლოდა. ანდა როგორ დავხმარებოდი, როცა მეც დაახლოებით იგივე მჭირდა. უბრალოდ მე ვიცოდი, რომ იყო რაღაცები, რასაც ვერ შევეცვლიდი. მარი კი ზემდებლად მგრძობობიარე აღმოჩნდა და ყველაფერს მძაფრად აღიქვამდა.

იმ დღეს, როცა მარი ბოლოჯერ მოვიდა უნივერსიტეტში, მკაროეკონომიკის გამოცდას ვწერდი. ეს იყო პირველი ვინაღულის გამოცდა და წინ კიდევ ხუთი გველოდა. საგამოცდო ცენტრის შესასვლელთან ხალხში გაჭედვები ვიდექით და ველოდებოდით, როდის შეგვიყოლებდა სტუდენტების ტალღა კარებში. ივინი იყო. ძალიან ცხელია. მარის ცისფერი თხელი ზედა ეცვა და გამიკვირდა, გულსაკიდი რომ ვერ შევნიშნე. მიიხრა, ვერ ვიმეცვადინე და არც ვიცო, რისი იმედით მოვდივარო. არადა, ეს მთავარი გამოცდა იყო. რამდენიმეწუთიანი ბრძოლის შემდეგ შიგნით შევედი. შესასვლელში ჩანთები ჩაეაბარეთ და მეორე სართულზე ავედი.

„სექტორი 22. ადგილი 12.“
„სექტორი 24. ადგილი 9“

მესამე სართულს კენ დავიძარი. მართალია, არც ისე კარგად სწავლობდა, მაგრამ პირველად ენახე, რომ გამოცდაზე სრულიად მოუზნადებელი მოვიდა. შევედი იმ უზარმაზარ აუდიტორიაში, სადაც გამოცდები გვიტარდებოდა. ერთი ბოლოდან მეორეში თვალს ვერ გააანგდენდი. მიჯრიტი ჩალბაგულ მაგიდებზე სტუდენტები კონსპექტებში და რეკვირებში იქექებოდნენ. ცხელია, ძალიან ცხელია.

ჩვენი ადგილები მოვქეზვეთ და დავსხედით. მარი ერთი სექტორის დაპირებით მეჯდა, ვხედავდი. გარემოს ათვალერებდა, როგორც იცოდა ხოლმე. ზუსტად ვ საათზე დამკვირვებლბმა საგამოცდო ფურცლები და ბილეთები დაგვირეგეს. ხუთი ამოცანა უნდა ამოგვეხსნა. წერას შევედევით. თან მარის გავხედავდი ხოლმე, ფურცლებს არც კი უყურებდა. ვნერვიულობდი. ალბათ, ერთი საათი იქნებოდა გასული, როცა ადგა და წყლის აპარატთან მივიდა. ერთჯერადი ჭიქა აიღო და ჩამოსხმა სცადა. არ ვიცო, ღილკას არასწორად დააჭირა თუ რა მოხდა, უბრალოდ დავიინახე, როგორ დარტყა ხელი წყლის რეზერვუარს გვერდიდან და აპარატი იატაკზე ხმაურით დაეცა. მთელი წყალი გადმოიღვარა და უზარმაზარი ტბა დადგა. სტუდენტებს ფეხები დაუსველდათ. დროებით ძირს დადებული ქსეროქსები გაილუმბა. ატყდა ხმაური. დამკვირვებელი მარის ეჩხუბებოდა, ეკითხებოდა, ეს როგორ მოხდაო. სტუდენტები საყვიდურებს გამოთქვამდნენ. მე გაკვირვებული ვუყურებდი მარის, რომელიც ყველას რაღაცებს უხსნიდა და შიგადაშიგ ილიმებოდა. მერე უნდაც „მთავარს“ მოუხმეს, იმან კი დაძლია გეზებს და დაუძახა. დანარჩენი სექტორის დამკვირვებლები გვეთხოვდნენ, წერა გაგვეგრძელებინა. წყალი მოწმინდეს, თქვეს, ამ სექტორს დაკარგული დრო ბოლოს დაემატებაო, მარის ბევრი უსაყვიდურეს, მაგრამ ბოლოს მაინც მისცეს უფლება, დამჯდარიყო და წერა გაეგრძელებინა. თუმცა რა უნდა გაეგრძელებინა, არც კი დაეწყო. თავის ადგილს დაუბრუნდა და ისევ სადღაც წინ, დიდ მიწებში განაგრძო ყურება. ჩემთვის არც ერთხელ არ შემიუხედავს. მესამე ამოცანის ამოხსნა დავიწყე. გამოცდის დამთავრებამდე ერთი საათით ადრე სტუდენტებმა ტრადიციულად დანიწყეს გასვლა. როგები შეთხელდა. ადრე მიკვირდა, ასე როგორ ასწრებენ-მეთქი, მერე მივხვდი, ეს ის კატეგორიაა, რომელიც ან ვერ წერს ან ნახევრად დანერვილიც აკამაყოფილებს. ისევ მარის გავხედე, მაგიდიდან პირადობა და საგამოცდო ფურცლები აიღო. ამ დროს მე მომხედა და ძალიან უცნაურად გამიღიმა. ადგა და დამკვირვებელთან მივიდა, რომ ხელი მოეწერა და ნასულიყო. ეს რომ დავინახე, სასწრაფოდ დავიწყე ბოლო, მავად ამოხსნილი ამოცანის მთავარ ფურ-

ცელზე გადატანა. მარი გავიდა და როცა ავდექი, თვალი მოვკარი, როგორ ჩადიოდა კიბეზე. ჩქარა მივირბინე ჩემი სექტორის დამკვირვებელთან, უცებ მოვანერე ხელი და სირბილით გავვიდარეთ. ჩავირბინე კიბე და თვალებით მარის დაუწყე ძებნა, მაგრამ ვერ დავინახე. შენობის გარეთაც ვამოვედი, მაინც არ ჩანდა. რამდენიმე წუთი ვათვალისწინებდი, ავტობუსების გაჩერებისკენ მიმავალი გზა, მაგრამ მარი ვერსად დავინახე. შენობაში შევბრუნდი და შესასვლელში დატოვებული ჩანთა ავიღე, მობილური ამოვიღე და მარისთან დავრეკე. გამორთული ქონდა.

შემდეგ გამოცდაზე საერთოდ არ მოსულა. დღემდე რამდენჯერმე ვცდილობდი დამერეკა, მაგრამ სულ გამორთული ქონდა. არ ვიცოდი, სხვანაირად როგორ დავკავშირებოდი. არც ჯგუფებში იცოდნენ, რატომ არ დადიოდნენ მარი, რა ჭირდა. მისამართიც არ ვიცოდი, რომ მივსულიყავი. კვირის ბოლოს მისი სახლის ტელეფონი გავიგე და დავრეკე.

— მარის თხოვეთ, თუ შეიძლება... — ამ დროს ყოველთვის მახსენდებოდა, როგორ მასწავლიდა დედა, რომ აუცილებლად მეთქვა ეს სიტყვები — „თუ შეიძლება“.

— მარი თბილისში არაა და რამდენიმე კვირა ან შეიძლება თვეც, არ იქნება. — მიიხრა დაღლილმა, დათრგუნულმა ხმამ. ალბათ, დედამისი იყო.

— ვერ მეტყვი, სადაა? მობილურიც კი გამორთული აქვს. ვერაფრით დავუკავშირდი.

— თქვენ ვინ ბრძანდებით?
— კურსელი ვარ, უფრო სწორად ჯგუფელი... მარიამი.

— ა, მარიამი... ალბათ, იცი, რომ მარი ძალიან გადაიღალა, რამდენიმე დღის წინ ისე ცუდად იყო, გადავწყვიტეთ, სოფელში გაგვეგზავნა. დამშვიდება ჭირდება, თვითონაც უნდოდა აქედან ნახვლა და ასე აჯობებს. ოღონდ კარგად იყოს. იქ თითქმის მარტოა, წყნარად. ასე ერთიგვანა, ახლა ბებიასთანაა. ასე უკეთესია...
— ზო, ასე უკეთესია. — ჩავიღიპარაკე.

— კარგი, მაღლობა, ნახვამდის.

ამის მერე დიდი ხანი გავიდა. უფრო სწორად, მე მერე ვხედავდი, იმითიმ, რომ მარის ყოველდღე ვხედავდი, ძალიან ბევრ დროს ვატარებდი მასთან და ახლა რამდენიმე კვირა საუკუნედ მეჩვენებოდა. გამოცდები დამთავრდა და ზაფხულის დიდი არდადეგებიც დაგვეწყო. იმ დღეებში ქალაქიდან გასვლას ვაპირებდი, როცა შემთხვევით მარის ძმას მოვკარი თვალი ავტობუსში ასულმა. აუტანელი ისიც იყო. ეს ბიჭი ერთხელ მყავდა ნახახი, მაგრამ მაინც გადავწყვიტე, მივსულიყავი და გამეგო, სად იყო მარი.

რამდენიმე დღეში ზურგჩანთაში აუცილებელი ნივთები ჩაგყარე და ჩემს დას ვუთხარი, როცა გკითხავენ, უთხარი, რომ მარის სახანაგად წავიდე და მალე ჩამოვატარ-მეთქი. ვიცოდი, ისე არ გამიმეცხდნენ მარტოს უცნობ სოფელში, რომელსაც რა ერქვა, ახლაც არ მახსოვს. მაგრამ ვიცოდი, რა ტრანსპორტს გავყოლოდი, სად ჩავსულიყავი და როგორ მიმეგონა სახლისთვის. მარის ძმამ ყველაფერი ამიხსნა. არც ის დღე იყო გამონაკლისი, ძალიან ცხელია. მობილური გავთიშე, ჩახუთულ „მარშუტკაში“ ჩავჯექი და მძღოლს ავუსხენი, სად მინდოდა ჩასვლა. საათზე მეტი იქნებოდა გასული, როცა დამიძახეს, აქ ჩაბრძანდითო. სკამის ქვეშ შედებულ ზურგჩანთას ხელი მოვკიდე და ჩავვიდი. მზე აჭერდა, სიჩუმე იყო. ის მტვრიანი ადგილიც დავინახე, სადაც უნდა შემეხვია. ისე დანვრელებით გამოვკითხე მარის ძმას მისამართი, რომ ადვილად მივაგვინე.

მწვანე ჭიშკარი შევადე და დაბმული ძალი დავინახე, რომელიც ჩემს შესვლაზე აყევდა. ხმაურზე მოხუცი ქალი გამოვიდა, ალბათ, მარის ბებია, და მიკოხდა, ვინ ხარო. გახმადარი იყო და თმა მოკლავ, მექერა. გრძელი, ყვავილებიანი სარაფანი ეცვა და დანაჭებული მკლავები უჩანდა. მარის მისი თვალები ჰქონდა. ვუთხარი, ვინ ვიყავი და რატომაც ვიყავი მისულნი. გამიღიმა და მიიხრა, მარი უკანა ეზო-თითი მანქანა, იმ ხესთან ზისო. ორსართულიანი ავტოს სახლი ჰქონდათ, ხის ფანჯრებით. ეზო დიდი და მწვანე. ხის მაგიდა და ორი გრძელი სკამიც ჩაედათ. აქ ყველაფერს სიმშვიდე მოქონდა. სიჩუმე იყო, ჩიტების გარდა არაფრის ხმა ისმოდა. იმ ხისკენ წავიდი, სადაც მარი უნდა ყოფილიყო. როცა მივუახლოვდი, დავინახე. ჩემგან ზურგიან იჯდა. პირდაპირ ბალახზე, წინ ნაჭერი დაეფინა და ზედ ეყარა უამრავი ბურთულა, მძივი და ბისერი, ძაფები და საქსოვი ჩხირები. თმები მარისავე მოკლედ შეეჭრა და მასაც კოჭებამდე სარაფანი ეცვა.

— მარი. — ვთქვი ხმადაბლა. გამომხედა და გამიცინა.

დასასრული

ოთარ ჩხეიძის დაკვირვებით, ვასილ ბარნოვის ცხოვრების ქრონიკაში რომ ჩაურთავს, მწერალი გვეჩვენებდა შუშისანის ძმების — იოანესა და ჯუანშერის — უუნარობას და მათზე გაცეცხლებულსა თუ მათი საცოდაობით აღვსილს თითქოს შური ეძია, როდესაც მომდევნო რომანში „არმაზის მსხვერვა“ მირიან მეფე გამოეყვანა სახელმწიფო მოღვაწის იდეალად და ჩამოეძერნა ნათელი ხასიათი — ძლიერი, მტკიცე და ალღოიანი.

და გულს სტკენდა ხელიდან გაშვებული შესაძლებლობა, რაკილა იოანესა და ჯუანშერს მეტი დიპლომატიური თამაში-სა და მოზრუნვის საშუალება მისცემოდათ. არაბული და ბიზანტიური ძალები აქეთ-იქიდან რომ წუნავდნენ საქართველოს, მოულოდნელად ხაზართა ხაკანი გამოჩენილიყო და მეგობრობის აღთქმითა და მტერთან ბრძოლაში შენევის დაპირებით, ოღონდაც ქართველთა სამეფო კარი მის სიძეობას დათანხმებოდა. უარი ახალი განსაცდელის მოვლინებას ნიშნავდა, თითქოს საშიშროება აკლდათ და ორ ცეცხლშუა ისედაც არ მოქცეულიყვნენ:

— შემოიგზნეს მესამე ცეცხლიცა, საქართველოც ზედ შეადგეს სამწვანავსკოთა. ალბათ ჯერ კარგად ვერ განაფულიყვნენ ან დაიბნენ, თავგადაპყრეს. ერთიც სავარაუდოა, მეორეცა.

არადა, ქვეყნის ცხოვრება უღმობელი გარდუვალობით მიექანებოდა საბედისწერო გზაზე.

არჩილ მეფე ბიზანტიას რომ ზურგს შეაქცევდა და არაბებს მიეკედლებოდა, თავიდან იქ კეთილად შეხვდებოდნენ და ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკაც აქეთ მებრუნდებოდა ახალ ორიენტაციას ადევნებულ, მაგრამ არაბთა მმართველ-იც რომ გასურისხდებოდა ქართველ მეფეს

როსტომ ჩხეიძე

ჩვენ — რომორც ხაზარები

(ვასილ ბარნოვი და მილორად პავიჩი)

და სულაც წამებით მოკლავდა, უმთავროდ დარჩენილი სახელმწიფო ერთაშად ვეღარც გამოქმენდა სხვა სახსარს.

— გეზი უეცრად ვეღარ შეიცვალა, არჩევანი ვეღარ მოახერხა, უფრო დაშინდა, — უნდობელი გახდა არაბთაგან ნალალატევი, ვეღარც ხაზართ მიენდო, ვეღარც ბიზანტიას მიუბრუნდებოდა, თავის თავს უნდა დაეპყრობოდა ამ უძლიერეს მტერთა პირისპირა.

და ბიოგრაფოსი ამ მღელვარე მსჯელობისას მოიხმობს ვასილ ბარნოვის რომანიდან იმ პასაჟს, მხატვრულ კონცეფციას რომ გამომხატავს და პოლიტიკური მონოლოგის მგზნებარებითაც განმსჭვალულა:

— იმ განწირულ მდგომარეობაში როდესაც ქართველთა ხელის აღმპყრობელი აღარ უფიქროდათ, მათ მთელი თავისი სასიუბა დაამყარეს საკუთარ ძალაზედ და ღვთის შეწევნაზედ, რასაც უნდა გაემტკიცებინა იგი ძალა საკუთარი: დიდად მორწმუნე იყო მაშინ ხალხი და სრული იმედი ჰქონდა, თავისი საფარველის ქვეშ დაიფარავდა ღვთისმშობელი ქრისტიანობას, ხოლო წმინდა გიორგი მძლედა მძლე ნარუძღვებოდა მეტობოდ ქართველთა, განმახულის ჰოროლით გულს განუგმირავდა ვეშაპს უწმიდღურს.

და დასძენს, რომ ეს არ იყო დიდი რამ ნუგეში მართლაც იმ განწირულ ყოფაში, არ იყო ხსნა, მაგრამ იყო რწმენა შინაგანი სიძლიერისა, იყო იმედი საკუთარი თავისა და სწორედ ამ ბედს, ამ მტკიცე რწმენას ეთაყვანებოდა ქართლის ცხოვრების მხატვრული მატანიის შემქმნელი („რა ვუყვით თუ ტრაგედიული ბედი ეწერათ გმირთა, ერის რწმენა მაინც გაიმარჯვებდა, მსხვერპლი უნდოდა ამ დიდ რწმენასა და გმირნიც ამაყად ეწირებოდნენ, ენაცვლებოდნენ, ემსხვერპლებოდნენ“).


იმ დაფარულ — ეგებ შეგნებულად ჩაფიქრებულ და ეგებ ქვეშეცხეულად გამჟღავნებულ — გარემოებასაც ჩაუკვირდებოდა, რომ მანგრონად, შუშანის სიყვარულით აღვსილ პიროვნებად, სულაც საკუთარი თავი წარმოესახა ვასილ ბარნოვს, მდულარე ცრემლით რომ დაიჭირებდა იმის სამარცხთან მართლად დარჩენილი... და ამ გაიგვების მოტივად იმასაც მიჩვენებდა, რომ ისტორიული ამბისათვის ბოლო დროის მოვლენანი და სულისკვეთებანი მიენერა ჭარბად და დაუზოგავად, ხაზართა ქვეშ რუსეთთან დამოკიდებულება ეგულსხმა და ამიტომაც ჩანერილიყო თხზულებაში „ხაზარეთზე“ უფრო ხშირად „ჩრდილოეთი“. და მსჯელობებშიც, — ვაჟკაცები ხომ არ დაილივნენ საქართველოშიო, — ცხადია, VIII საუკუნის სა-

დარდელი თუ ტკივილები როდი გამოეტყანა ან მხოლოდ მაშინდელი სადარდელი როდი გამოეთქვა.

რაოდენ დამორებული ამ მხრივ „ხაზართა სასძლო“ და „ხაზარული სიტყვისკონა“ — ვასილ ბარნოვი ხაზართა წინააღმდეგ განაწყობს მკითხველს, მილორად პავიჩი მათ თანაგრძობას უნერგავს.

რომანთა მხატვრული მრწამსის განსხვავებამ მოითხოვა ასე, თუმც იქ, სივრცეებში“ ორივე თხზულება საერთო სულსკვეთებით აღვსილა, როგორც განგაჰის ზარი ეროვნულ თავისებურებათა გადასარჩენად.

ხაზართა სახელი ერთგან ძალმომრეობის სიმბოლოდ თუ გვევლინება და მეორეგან თვითმოყოფადობის მრწამსის საკენ სწრაფვისა, ორივე მწერალი ხომ ერთ მიზანს მიელტვის — არ მოირღვეს კაცობრიობის მტკიცედ ნაჭედი ერთობა, ღვთით დადგენილი და არა განყენებული პოლიტიკურ-ეკონომიკური დოქტრინებით ნასაზრდოები, გულგრილად არავინ



ფოტო: ი. ზედაძე

გადაატაროს თვალწინ ცალკეულ რგოლთა ამოკლება იმ იმედით, ამით მსოფლიო სისტემას ბევრი არაფერი მოაკლდება, უმნიშვნელო ცვლილება ზიანს ვერავის და ვერაფერს მოუტანსო.

მწერალმა უნის ყველაზე უკეთ, რომ არაფერია უმნიშვნელო სამყაროში, ყოველივეს თავისი დანიშნულება დაპყრობისა ერთიანი ნესრავის ასაგებად, და რღვევას უთუოდ მოჰყვება მისი გაღრმავებაც, გაღრმავებას კი ის შეუქცევადი პროცესი, რომლის იქითაც...

თორემ აგერ ხაზარნიო, — დაბეჯითებით შეგვაგონებს პავიჩი, — შესაძლოა მათი ბედის გამზიარებელი აღმოჩნდეს მთელი ჩვენი პლანეტაო.

ეს ნუხილი აკი სწორედ ხაზართა მეტაფორის მოშველიებით გამოეთქვა გიორგი ლეონიძეს, ვასილ ბარნოვის დიდ მოთაყვანესა და მოგვიანებით აკი დიდ მოამაგესაც, მაგრამ ეგ კია, გაუძლეველობდა ხაზარებში მასაც რუსეთი გაუსიმბოლოვებინა და ამ სახელების ხსენებით ჩრდილოეთიდან მოვლენილი სამშრობე ეგულსხმა — დაე მათებურ გახელებას აპყრობდა ჭაბუკური გზებუარებით და სიყვარულის ექსტაზი ამ საბურველში გამოეხვიო.

ვარ ხაზარიო, — არავის და არაფერს მოერიდებოდა.

მის თვალთახედვაში წიგნი და ნაწერი სრულიად უცხო გახლდათ ხაზართათვის, მილორად პავიჩი კი მოინდომებდა არც ეს მისწრაფება მოელო თავისი პერსონაჟებისათვის და ამიტომაც მიაჩერებდა ხაკანს წიგნს, რომლის ხსენებაც მთარგმნელს ისტორიული ნოსტალგით განუმსჭვალავდა ფიქრს, უთუოდ ჩვენს დედაქალაქში იქნებოდა ნაპოვნი, ხაზართაგან დარბეულსა და იავარქმნილი-შიო...

დარილსიბაქიან გადავარდნილი ხაზართისკენ ეშურებოდა წერო, რათა თვითონაც საშუალოდ მიფარებოდა თვალს და ის ხაზარეთიც, ერთ დროს ცა ქუდად რომ არ მიანდა და დედამინა ქალამნდა.

სიტყვისკონა მე მაინც შევედგიანო, — სხვა რაღა დაშთენოდა და თანაგრძობას ამით უცხადებდა ამ განწირულ ხალხს ორი ათასწლეულის გასაყარიდან მილორად პავიჩი.

მთელი სასოება საკუთარ ძალასა და ღვთის შეწევნაზე უნდა დავამყაროთო, — თავისას გვიბეჯითებდა და შეგვაგონებდა ვასილ ბარნოვი და გულმდულარე მითაატარებდა მზერას გარშემო: ნუთუ ვაჟკაცები დაილივნენ საქართველოში?!

მანალი



უპირველესად, თქვენზე გვიაპყრება. ვინ არის ნინო სადღობელაშვილი და როგორ მოვიდა ლიტერატურაში?

ხომ გაგიგიათ ასეთი ფრაზა — „რაც თავი მახსოვს, ვწერ“, ჩემს შემთხვევაში მართლა ასე იყო. ღრმა ბავშვობიდან რაღაცებს ვწვანობდი. კალამი და ფურცელი ძალიან ახლობელი იყო ჩემთვის. ფშაველი ბებო მყავდა, რომელსაც პოეზია უყვარდა. დილა ღამით იწყებოდა და საღამოც ღამით მთავრდებოდა — ვაჟა-ფშაველას, აკაკი წერეთელი, პუშკინი, ლერმონტოვი — რუსულად, ქართულად... როგორც ჩანს, ეს ყველაფერი გაჯდა ჩემში და ძალიან დიდი კვალიც დატოვა. ოჯახში ხელოვანი ხალხი ცხოვრობდა: მამა კარგად მღეროდა, ბებოს ძმები შესანიშნავად კაფიობდნენ და იქ რომ ჩავდიოდი, უდიდეს სიმამრებს ვიღებდი. სუფრაზე ისე გადავლექსებოდნენ ერთმანეთს, რომ გაგიხიზან. აქედან გამოდინარე, პოეზია და საერთოდ, ლიტერატურა ჩემში ძალდაუტანებლად შემოვიდა. რაღაც მომენტში გადავწყვიტე, რომ წერა ჩემთვის ისეთივე ბუნებრივი მდგომარეობაა, როგორც გადვიწყება, სუნთქვა, მოძრაობა. თავიდან ურუნალისტობას ვაპირებდი, მაგრამ ერთმა ახლობელმა კულტურის ინსტიტუტში მიჩიჩია ჩაბარება, სადაც ლიტერატურულ სახელობის ვახუშტი კოტეტიშვილი უძღვებოდა. ეს იყო არაჩვეულებრივი პერიოდი, თუმცა ჩვენმა ფაკულტეტმა სულ რამდენიმე წელიწადს იარსება. სამწუხაროდ, ამ ყველაფერს მხოლოდ ექსპერიმენტის სახე ჰქონდა. საინტერესო ხალხი სწავლობდა სახელოსნოში. მახსოვს, ბატონმა ვახუშტმა გვითხრა, წერას ვერც მე გასწავლით და ვერც ვინმე სხვა, უბრალოდ, ლიტერატურაზე გესაუბრებით და ვეცდები, გემოვნება ჩამოგიყალიბოთო. იმ დროს უკვე ძალიან ავად იყო და მცირე ხანი ურთიერთობა გამოვკვივიდა, მაგრამ ამ ურთიერთობის ყოველი დღე და წუთი მახსოვს. ნელ-ნელა ეს ყველაფერი სერიოზულ საქმედ მექცა. საქმედ, ურომლისოდაც ცხოვრება ვერ წარმომიდგენია.

თქვენი შემოქმედება პოეზიასაც მოიცავს და პროზასაც, რომელი იყო პირველად, ლექსი თუ მოთხრობა, საიდანსად წახვედით?

სხვათა შორის, ამას მეც ვიკვლევ, მაგრამ დაზუსტებით თქმა მიჭირს. ბავშვობის ნაწერებიდან ბევრი არაფერი შემომჩნა, თუმცა მახსოვს, მოთხრობას რომ ვწერდი, აუცილებლად ჩავურთავდი ხოლმე ლექსს. ეს თანხი ძალზე ბუნებრივად მეჩვენებოდა. სიმართლე გითხრათ, ჩემთვის პოეზია უპირველესი. პოეზიაში მივიჩნევ თავს ადამიანად, ისეთად, როგორც ღმერთმა ჩამიფიქრა. რაც უნდა ბევრი ვიმუშავო პროზაში, რა ძალიან უნდა დავივიწყო, ერთი ლექსი სრულიად გადაწვინის ხოლმე ყველაფერს. ბოლო დროს დრამატურგიაშიც მოვსინჯე ძალა. ჩემს ირგვლივ ძირითადად თეატრალური სამსახურები იყვნენ. მათ ძალიან შემინჯავს ხელი, რომ ამ თანხში მეც ვიყავი. სხვათა შორის, რამდენიმე წლის წინ სწორედ ერთ-ერთი მათგანის, რეჟისორ გიორგი სიხარულიძის ინიციატივით გადავიკეთე პიესა, რომელსაც იმის მიხედვით — „ბამბაზიის სამოთხე“, რომელიც ქუთაისში დაიდგა. მოგვიანებით ფილმიც გადაიღეს.

ძალიან საინტერესო მოთხრობაა, სულში ჩამწვდომი, თუმცა პიესისთვის სიუჟეტი შეიცვალა.

ნინო სადღობელაშვილი:

„ოსტატობა ისაა, არ დაიმსგავსო საკუთარი შემოქმედება“

ის, რომ სულით პოეტია, ყველაფერში იგრძნობა — ლაპარაკში, მზერაში და რაც მთავარია — ლექსში. სულით პოეტია, მაგრამ მკითხველმა მოთხრობებით გაიგონო. „ბამბაზიის სამოთხე“ — ასე ჰქვია პატარა კრებულს, რომელშიც მისი გულის ნაწილები, მისი მოთხრობების გამრეები ცხოვრობენ: მასწავლებელ რძალზე მეოცნებებე ბეატრიჩე სორდია, კაფანდარა მარინე, ბერძენი გიჟი დიმიტრიოს ილიაძისი, წმინდაურა და ლენა დედა, პირმომტვერული მაკრატლით რომ ჭრის პატარა ბამბაზიის შარვლებიდან კურდღლებს, ციყვებს, ბამბუკებს და ოთახის კედლებზე აკრავს. სხვებიც არიან — ყველას ვერ ჩამოვთვლით. არის ერთი რომანიც, სახელწოდებით — „ორსული“ და ერთიც ლექსების წიგნი — „შუალამის იავნანა“. ჯერჯერობით ესაა ის, რასაც ნინო სადღობელაშვილის მხატვრული სამყარო ჰქვია, თუმცა „სამკალი ბევრი არს“, მისი სამწერლო გზა ხომ რამდენიმე წელია დაიწყო. ამ გზის დასაწყისში დგას თვითონ — ქარს გატანებული პურის მარცვალი, თავის წილ მკითხველს ელის და საკუთარ თავზე, საკუთარ შემოქმედებაზე გვესაუბრება.

მოთხრობა სულ სხვა განწყობით დაიწერა — ლირიკულით, სევდიანით. მახსოვს მისი წერის პროცესიც — ერთდროულად თბილი და მტკიცე. რაც შეეხება პიესას, აქ სრულიად კონკრეტული მიზანი დავისახეთ — სიუჟეტი გავამძაფრეთ და აქცენტები აფხაზეთის თემზე გადავიტანეთ. „ბამბაზიის სამოთხიდან“ მხოლოდ ორი პერსონაჟი დარჩა: ქალი, რომელსაც აფხაზეთის ომში შვილი მოუკვდა და მისი შვილის ნაომარი, უფუნქციო ბიჭი გალოთებული მეგობარი.

სიუჟეტი ქართველი და აფხაზი დედების ურთიერთობის ფონზე ვითარდება, რომელთაც გარდაცვლილი შვილები აკავშირებს: აფხაზეთში აფხაზი დედა ორ საფუძვალზე უდის — თავისი შვილის და მისი ქართველი მკვლელისას. ფინალში, როდესაც ეს ქალები ერთმანეთს ხვდებიან, აფხაზი დედა ქართველ ქალბატონს ბოდიშის სანაცვლოდ შვილის ძეგლებს გატანებაზე თანხმდება, თუმცა ეს უკანასკნელი უარს ამბობს, იმის მიუხედავად, რომ წლები განმეკობრაში მხოლოდ ამაზე ოცნებობდა. პიესაზე განსაკუთრებულია ვიმუშავეთ. გიორგი სიხარულიძემ შემოქმედებითი მივლინებაც კი მოაწყო ზღვაზე. მართალია, ეს არ იყო აფხაზეთის ზღვა, მაგრამ საჭირო განწყობა შეიქმნა. „ბამბაზიის სამოთხე“ რამდენიმე წლის წინ დაიდა და დღემდე სოხუმის თეატრში სეზონი ამ სპექტაკლით იხსნება. დარბაზი ყოველთვის სავსეა, რაც იმას ნიშნავს, რომ სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ეს თემა ჯერ კიდევ მტკიცეა და ადლებს მასწავლებლს.

სხვათა შორის, ვიდეოფორმზე გადაღებული „ბამბაზიის სამოთხე“ აფხაზეთშიც იხილეს. არის ასეთი აფხაზი ქალბატონი — ესმა კვეციკერია, ქართველი შვილების დედა, რომელმაც პიესის ტექსტი აფხაზურად თარგმნა და სოხუმში წაიღო. საოცრად ვლელავდით, გვიანტერესებდა, როგორ მიიღებდნენ იქაურები სპექტაკლს. თბილისში დაბრუნებულმა ქალბატონმა ესმამ გვიამბო, თუ როგორ მოუყარა თავი 30 აფხაზს და აჩვენა ეს დისკი. საერთოდ, აფხაზეთში საქართველოდან ჩატანის ყველაფერს ირონიულად უყურებენ. სპექტაკლი რომ დაიწყო, ჯერ დაიძახნენ, მე რეჟისორი ვარ და ნარმოდგენის დასრულების შემდეგ ჩუმად გალაგდნენ ოთახიდან, რეაქცია არავის ჰქონდა — გვიყვებოდა ის. მეორე დღეს ჯერ ერთს დაუკაკუნებია კარზე და დისკის ნაღებია უთხოვია, მე რეჟისორი ვარ, მესამეს... როგორც შევითვალთ, ჩანანერი ხელიდან ხელში გადასულა და საბოლოოდ არაერთ აფხაზს უნახავს.

როგორც ჩანს, ამ ადამიანებთან ხელოვნების ენაზე საუბარი უფრო ჭრის.

მეც ასე ვფიქრობ. ამ საქმეში ხელოვნების როლი ძალიან დიდია. ასე უფრო მოველდება ჩვენს საერთო ტკივილს.

ისევ ლიტერატურას დავუბრუნდეთ. 2009-ში გამოვიდა რომანი „ორსული“. ერთი შეხედვით, ეს არის ნაწარმოები ადამიანურ ურთიერთობებზე, თუმცა სათქმელი უფრო ღრმაა, ყოველ შემთხვევაში, ასე გქონდათ ჩათვლით. ანოტაციაში ვკითხულობთ, რომ ეს არის წიგნი „ქარს გატანებული პურზე, რომელსაც მრავალი დღის შემდეგ ისევ მოიძიებ“. ავტორის ელემენტარული განმარტება როგორია — რა იყო თქვენი მთავარი გზავნილი ამ ტექსტის წერისას?

საერთოდ, რომანის დაწერა რთულია, იმდენად, რამდენადაც ზოგადად

პროზა პრომატივადი. პოეზიაში მოხელთებული ემოცია შეიძლება რამდენიმე საათში გადაიტანო ფურცელზე, პროზას კი მუდმივი, კატორღული პროზა სჭირდება, მითუმეტეს რომანს, მაგრამ მე ეს მძიმე გზა არ გამივილია, რადგან ტექსტს წინ უძღვოდა წელიწადნახევრიანი პირადი ცხოვრება, რაც შემდეგ ნანარმოების ფაბულასა და იდეაში აისახა.

ანუ, რომანი ავტობიოგრაფიულია?

გარკვეული დოზით. ეს არის წიგნი შემოქმედებით ორსულობაზე, ნაყოფიერებასა და უნაყოფობაზე, რომელიც თითოეულ ადამიანს თან ახლავს, შინაგან თავისუფლებაზე და რაც მთავარია — სიყვარულზე. სიყვარული არის ყველაზე დიდი მონაშთი, ცხოვრების უმთავრესი საზრისი და თუ მას არ შეუძლია სიმწიფე ნაყოფამდე, განუხორციელებელ გრძობად დარჩება. ძალიან მიყვარს როლე და მას აქვს გამონათქვამი ევროპულ კულტურაზე: „ხომ ლამაზია სხეები გაზაფხულზე — როგორ ჩხრიალებენ, როგორ ბრიალებენ, მაგრამ მათ არ ჰყოფნით მზე, რომ დაამზინოს ნაყოფი“. ამ რომანის წერისას ჩემთვის მთავარი იყო, თითოეულ ადამიანს თავის თავში ალმოეჩინა მზე, რომელიც ამ სიყვარულს, თავისუფლებას ნაყოფამდე დაამზინებდა.

„ვერ ვიტან ბრწყინებს, ნერტილს, მძიმეს, ძახილის ნიშანს და ასე შემდეგ“ — ამბობს თქვენი რომანის გმირი. ეს ყველაფერი მასში დააბნელებული სიტყვების ასოციაციას იწვევს. მართლა არსებობს დაბნელებული სიტყვები თუ ეს შინაგანი თავისუფლების სიმბოლოა?

კი, ასეთი ინტერპრეტაცია შეიძლება — თავისუფალი ყოველგვარი ჩარხისგან. მწერალს აუცილებლად სჭირდება შინაგანი თავისუფლება. ჩემთვის, ყოველ შემთხვევაში, ეს განცდა ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ადრეული ასაკიდან გავაცნობიერე თავისუფლების ფასი, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ სულ მინიმუმ მისი ყიდვა, რათა მერე უფრო დიდი თავისუფლება მომეპოვებინა. ეს ყველაფერი შვიდ წელსაც ჰგავს, რომლის თითოეული შრის გავლის შემდეგ უფრო მეტად აცნობიერებს, რომ უამრავი გარემოების ტყვეობაში ხარ. გინდა გახვიდე ამ მოჯადოებული წრიდან, მაგრამ ეს ძალზე რთული პროცესია. საბოლოოდ, ალბათ, აბსოლუტური თავისუფლება არც არსებობს.

„ექვსი ლექსები მის სულს ჰგავდნენ. ისედაც ხომ ასეა, შემოქმედება ჰგავს თავის შემოქმედს“ — წერს თქვენს რომანში. მართლა ასე ფიქრობთ?

მეტწაკლებად ჰგავს, მაგრამ ხანდახან ფიქრობ, რომ მწერლის ოსტატობა სწორედ ისაა, არ დაიმსგავსო საკუთარი შემოქმედება და სულ სხვა რამ შესთავაზოს მკითხველს. ძალიან მინდა, საკუთარ თავში დავიჭირო ჩემგან განსხვავებული სამყარო, მაგრამ ალბათ აისისთვის ბევრს არ ვშრომებ. რამდენიც უნდა ვეცადო, ჩემი ნაწერები ბოლოს მაინც ტყებება, რაღაც მშობლიურს ეხება, ძალიან ჩემსას და ბოლოს მე თვითონაც იქ აღმოვჩნდები ხოლმე. სულ მინდა დავწერო ტექსტი, სადაც არაფერი იქნება ჩემი.

გქონდათ მცდელობა?

კი, მაგრამ წარუმატებელი. ეს იყო პროზაში.

ეცოდა, ლექსში კი სრულიად თავისუფალი ხართ, წყალივით მოედინება ფორმაც, სათქმელიც, არაფერია ნაძალადევი და გაკეთებული. აშკარად იგრძნობა, რომ ლექსი უფრო თქვენია. რამდენად ვიცის, ახალ რომანზე მუშაობთ, როგორ არის საქმე?

რომანს ჰქვია „ნამი აქა, ნამი იქა“ და თითქმის დასრულებულია. მჭირდება ერთი ძლიერი ჩასუნთქვა, რომ ტექსტი „შევიდე“, რაღაცები შეცვალო და საბოლოოდ სახე მივეცი. ამისთვის თითქმის ძალას ვიკრებ, ვემზადები და ვერ მივედი აქამდე. არადა, ვიცი, რაც უნდა გავაკეთო. რომანი არის ხვამლის მთაზე. მთაზე, რომელსაც არაერთი ლეგენდა უკავშირდება.

საკრალური თემატიკა ავირჩევიათ.

ასეთი რაღაცების ნაკლებად მჯერა, მაგრამ ფაქტია, რომ ეს მთა უცნაურად მოვიდა ჩემთან. თითქმის არაფერი ვიცოდი მის შესახებ, მხოლოდ გაცნობილი მქონდა, წერის პროცესში კი ნელ-ნელა გამეხსნა, თითქმის თავისი საიდუმლოებიც გამიზიარა, როგორც მეგობარმა.

რა ხდება რომანში?

მოქმედება თანამედროვე დროში მიმდინარეობს. ოთხი გმირია, ოთხი მთავარი პერსონაჟი — ორი გოგონა და ორი ბიჭი, ახალგაზრდები, რომლებიც ხვამლის მთის მიმდებარე სოფლებში ცხოვრობენ და თითქმის გაუცნობიერებლად ემზადებიან მის მისტიკასთან შესახვედრად. თითოეულს თავისი ცხოვრება აქვს, თუმცა საბოლოოდ ყველა ერთმანეთს მნიშვნელოვანი ექსპედიციისთვის, რომელიც ხვამლის მთაზე იგეგმება. ეს იქნება წიგნი ძიებაზე. უპირველესად, ალბათ, ადამიანის მიერ საკუთარი თავის ძიებაზე.

თანროდ თქვენი ვფიქრობ: ტექსტი ფანტასტიკას და სინამდვილეს შორისაა და უნდა ჩამოვყალიბდე, რა მინდა.

პოეზიაში რა ხდება, ახალი ლექსები ხომ არ დაგიგროვდათ?

ლექსებიც დამიგროვდა და ახალი კრებულის გამოცემასაც ვეგეგმავ. „შუალამის იავნანა“ შეცდომებიანი წიგნია, ბევრი ლაფსუსი გაიპარა, რის გამოც რამდენიმე ლექსი ისეა შეცვლილი, ნაკითხვაც არ მინდა. მეორე კრებულს უფრო გულდასმით მოვეკიდები. ძირითადად ახალი ლექსები შევა, რომლებიც მხოლოდ პერიოდიკაშია დაბეჭდილი.

თქვენს ერთ-ერთ წერილს ვკითხულობდით, სადაც ლევან ბერძენიშვილის სიტყვების მოყვანილი, რომელიც ამბობს, რომ „ლიტერატურაში ძირითად, მთავარ ამოცანას ასრულებს პოეზია“. თანხმებით მის მოსაზრებას, ანუ პოეზიის უპირატესობას პროზაზე?

პირადად ჩემთვის პოეზია უპირველესია, მაგრამ საზოგადოდ, თუ გადავხედავთ კაცობრიობის გამოცდილებას, ხანდახან მაქვს განცდა, სჭირდება კი ადამიანს თანამედროვე ტექნიკურ სამყაროში პოეზია? თუმცა თუკი რამე აახლოებს ადამიანს ენასთან, ეს ლექსია. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ პოეზია მთავარია, თუმცა არ ვიცი, შეიძლება ვცდები კიდევ.

თქვენთვის რამდენად მნიშვნელოვანია პოეტური ძიება?

ზოგადად, მნიშვნელოვანია, თუმცა მე ამ საკითხში ვერ ვარ ყოჩაღი. ჩემი გაგებით, ეს პროცესი იგივეა, როდესაც შენში ატარებ სათქმელს და ეძებ მუსიკას, რომელსაც მოარგებ ამ სათქმელს. სწორედ ეს არის ფორმის ძიება, თორემ წინასწარ დავეგმილი, მიზანმიმართული ექსპერიმენტების არც სურვილი მაქვს, არც — ინტერესი. საერთოდ, ლექსს ძალზე ფრთხილად ვეპყრობი და მხოლოდ მაშინ ვწერ, როცა სხვა გზა არ არის; როცა ვგრძნობ, რომ სათქმელი, თუ გარეთ არ გამოვიტანე, ნამულევეს და წამიღებს. ამიტომაც აღარ მრჩება დრო ხელოვნური ძიებებისთვის. რა ვქნა, არ მიყვარს ნაძალადევი შემოქმედება. ყველაფერი ბუნებრივი მიჩვენია — პოეზიაც, პროზაც, ადამიანებიც.

ესაუბრა ნანა კობახიძე

მათხიკალი ზაალ სულაკაური:

„ვფიქრობ, მწერალი უბრალო და თავმდაბალი ადამიანი უნდა იყოს“

ინტერვიუზე მისი დათანხმება იოლი არ ყოფილა. ლიტერატურა ძალიან მიყვარს, მწერლებს შორის გავიზარდე, მაგრამ „ნიგნის ყბა“ არ ვარ, თქვენი რუბრიკის რესპონდენტად არ გამოვდგებიო; თან ძალიან მოუცლელი ვარო.

ცნობილი მხატვარი, კარიკატურისტი ზაალ სულაკაური მართლაც დაკავებული ადამიანი აღმოჩნდა. მასთან ერთი საათით მისულმა, ლამის მთელი დღე სტუდიაში გავატარე. ხან მწერალი მოვიდა თავისი ნიგნისთვის შესრულებული ილუსტრაციების სანახავად, ხანაც — სხვა დამკვეთმა მოაკითხა მხატვარს. ამასობაში სტუდია რამდენჯერმე შეივსო მოსწავლეებით და დაიკვლია. საუბრებისა და შეხვედრების პარალელურად ზაალი მორიგ შეკვეთაზე მუშაობას აგრძელებდა. „იძულებითი“ შესვენებების დროს მისი ახალი ნამუშევრების თვალთვლით ვიქცევდით თავს. უკვე ერთი თვეა, მხატვარი ახალი და უჩვეულო პროექტის განხორციელებისთვის ემზადება — მან მსოფლიო მწერლობას ერთ კოლექციაში „მოუყარა თავი“, შექმნა კარიკატურული პორტრეტები თანამედროვე ეპოქასა თუ გასულ საუკუნეებში მოღვაწე ქართველი და უცხოელი ავტორებისა. ზაალ სულაკაური გამოფენის გამართვას შემოდგომაზე აპირებს და ნიგნის მოყვარულ საზოგადოებას საყვარელ ავტორებთან „შეხვედრას“ ჰპირდება. უჩვეულო გამოფენის ავტორი სტუმართა თვალნინ არა მხოლოდ დროსა და სივრცეს, არამედ ჟანრობრივ საზღვრებსაც წაშლის. დამთვალიერებელს ვაჟა, გალაკტიონი, ტიცვიან ტაბიძე, იაკობ გოგებაშვილი, გრიგოლ რობაქიძე, მირზა გელოვანი, ჯეკ ლონდონი, მიკე და უნაშუნი, გარსია მარკესი, ალექსანდრე დიუმა (უფროსი), გუსტავ ფლობერი, გოეთე, ხულო კორტასარი, ანტუან დე სენტ ეგ ზიუპერი, მარკუს ავრელიუსი, ფოლკნერი, პლატონი, მარკ ტვენი, ასტრიდ ლინდგრენი, გურამ დოჩანაშვილი, ნიკა აგიაშვილი, ჯემალ ქარჩხაძე, აკა მორჩილაძე, ლევ ტოლსტოი, ნუგზარ შატაიძე, პაოლო კოელი, მაქსიმ გორკი, ვიქტორ ჰიუგო, ერლომ ახვლედიანი, რატი ამალაშვილი, ორჰან ფამუქი, ონორე დე ბალ ზაკი, ეთერ თათარაიძე და სხვები „უმასპინძლებენ“.



— ზაალ, საიდან გაგიჩნდა იდეა, ამდენი ავტორისთვის მოგეყარათ თავი და მსოფლიო მწერლობის გამოფენა მოგეწყობო?

— სურვილი მქონდა, ჩემი დამოკიდებულება დიდი ლიტერატურის, ბუმბერაზი მწერლების მიმართ გამოემხატა, მომავალი გამოფენა კი ამის საშუალებას ნამდვილად მომცემს.

— თქვენს კოლექციაში სრულიად სხვადასხვა დროისა და ქვეყნის, ასევე ლიტერატურული მიმდინარეობის მწერლები არიან წარმოდგენილნი. რა პრინციპით შეარჩიეთ ისინი? ცხადია, ამდენი ავტორის, მათი შემოქმედების მიმართ ერთგვაროვანი დამოკიდებულება არ გექნებოდათ.

— რა თქმა უნდა, კოლექციაში წარმოდგენილ მწერალთა მიმართ ერთნაირი სიყვარული არ მაქვს, მათგან ჩემი ავტორი სულ რამდენიმეა. თუ ვინ არიან ისინი, არ დავკონკრეტებ. ვფიქრობ, მომავალი გამოფენის ხიბლი ისაა, რომ ყველა მომსვლელი თავის საყვარელ მწერალს შეხვდება. პორტრეტების თვალთვლით ნახვადით, კოლექციაში თანამედროვე ქართული მწერლობა საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი, გამოფენაზე ყველა მათგანს ვეპატიჟებ. ვფიქრობ, საკუთარ თავთან და ერთმანეთთან შეხვედრით გაიხარებენ. თუმცა, ვაპირებ პორტრეტები ისე განვალაგო, რომ ზოგიერთი ავტორი თავისი „კედლის მეზობლით“ გაკვირებულიც კი დარჩეს.

— იცით, კიდევ რატომ მინდა ამ გამოფენის გამართვა? მასმედია, როგორც წესი, პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური მოვლენების მიმართ იჩენს განსაკუთრებულ ინტერესს, ლიტერატურული პროცესები კი მათთვის ნაკლებად საყურადღებოა. არადა, პოლიტიკოსები — ცხადია ისტორიული მნიშვნელობის ფიგურებს არ ვგულისხმობ — დღეს კი ცნობილი წარმომადგენელი გვერდებზე ვხვდებით. მწერალთა სახელებს კი ისტორია ინახავს, მათი შემოქმედება დროს უძლებს. ჩემი გამოფენით სწორედ ამ რეალობის დადასტურება მინდა.

— ესე იგი, დაგეგმილი ღონისძიება ლიტერატურის პოლულარიზაციის ერთგვარი მცდელობაც იქნება. ასეა?

— შეიძლება ასეც ითქვას. მაგალითისთვის მიტყვი, კარგი ქართველი მწერალი და მსოფლიო მწერლის რომელიმე წარმომადგენელი გვერდებზე რომ დავაყენოთ, როგორ გგონიათ, ხალხი რომელს ამოიცნობს? ცხადია, მეორეს, ხომ? ადამიანებმა არ იციან როგორ გამოიყურება, ვთქვათ, რეზო ჭეიშვილი, ან რომელიმე სხვა ქართველი მწერალი.

— როგორ ფიქრობთ, დარბაზში გამოფენილ თქვენს კარიკატურებში თომას მანს, ვიქტორ ჰიუგოს, ჯეკ ლონდონს, გრიგოლ რობაქიძეს დამთვალიერებელთაგან რევრი ამოიცნობს?

— გამოფენის გამართვას ეროვნულ ბიბლიოთეკაში ვაპირებ, ხოლო შემდეგ, შესაძლოა, ექსპოზიციაში ლიტერატურის მუზეუმში გადაინაცვლოს. საგანგებოდ შევარჩიე ადგილები, სადაც ის საზოგადოება დადის, ძალიან რომ უყვარს ლიტერატურა. ასე რომ, მათი ცნობა მგონი არავის გაუჭირდება. თანაც, თითოეულ ნახატზე მიწერილი იქნება, თუ ვისი კარიკატურაა.

— ტელეფონით საუბრისას მითხარი, მწერლების გარემოცვაში გავიზარდეო. ეს გასაკვირი არც არის, თქვენ ხომ ლიტერატორისა და დრამატურგის ოჯახში იზრდებოდით.

— ჩემი ცხოვრება მწერლებთან ურთიერთობით არის გაჯერებული. მოგესვენებათ, მამა დრამატურგი მყავს. მე და ჩემი ტყუპისძალი ძმის დაბადებისას, როგორც მოსალოდნელი იყო, ოჯახში სუფრა გაშლილა. მოსულან მწერლები და თამადად ერთხმად აურჩევიათ ნოდარ დუმბაძე. მგონი, მეტი რომ აღარაფერი ვთქვა, იოლად წარმოიდგენთ რა ლხინი გაიმართებოდა. ქვიფისა ედვიდარ ყიფიანს უთქვამს, ბიჭებს ზაალი და ზურაბი დაგორქვათო. ამიტომ მასაც ჩემს ნათლიად ვთვლი. თუმცა, ეკლესიური წესით, სხვა მწერალმა — გიორგი ცოცანიძემ მომწვლილა.

— ბავშვობაში ბევრს კითხულობდით?

— მიუხედავად იმისა, რომ სახლში ძალიან მდიდარი ბიბლიოთეკა გვაქვს, ბავშვობაში წიგნის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი არ გამომიძლდაცნებოდა. ოთხ დედამამიშვილში ყველაზე მეტს ბაკური კითხულობდა. ალბათ ამიტომაც, დღეს ის გამომცემელია და დღემოდ წიგნის სამყაროში ტრიალებს. ბავშვობაში ბაკური თავს არ სწევდა წიგნიდან. მე და ჩემს ტყუპისძალს კი უფრო ხატვა გვიყვარდა. წიგნს მერე და მერე მივეჯაჭვე.

— თქვენს სტუდიაში შემოსვლისთანავე ვაჟას რამდენიმე პორტრეტი და ერთი ფოტოსურათი შეენიშნე. ასეთი „სიმრავლე“ ვაჟას მიმართ თქვენს განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე მეტყულებს?

— ვაჟასნაირი ბუმბერაზი მწერალი, მოაზროვნე იშვიათად მეგულება ვინმე. ალბათ არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ ის მსოფლიო მნიშვნელობის ფიგურაა.

ჩემი და, ლელა, ბესიკ ხარანაულის რძალი გახლავით. მათ ოჯახში ერთი რელიქვია ინახება — ფოტოსურათი, რომელზეც ბესიკის პაპა, ქიტესა ხარანაული და ვაჟა-ფშაველა არიან გამოსახულნი. ქიტესა თიანეთის გამგებელი იყო და ვაჟასთან მეგობრობდა. ფოტოც 1912 წელს მეგობრობის ნიშნად გადაუღდათ. ოჯახის წევრები, როგორც სინძინდეს ისე ეთაყვანებოდნენ იმ სურათს. თიანეთში კი ახლაც დგას სახლი, სადაც ქიტესა თავის სახლმეგობარს ერთად ცხოვრობდა. სახლს შემორჩენილი დაფა ამჟღავნებს, ზედ წერია: „ამ სახლს ხშირად სტუმრობდა ვაჟა-ფშაველა“. როცა თიანეთში ავდივარ, იმ ისტორიული სახლის კედლებს ვეფერები ხოლმე.

— თქვენთან ხშირად იკრიბებოდნენ მწერლები. მაშინ კარიკატურებს არ ხატავდით?

— როგორ არა, კარიკატურების ხატვა პატარაობაშიც მიყვარდა. ასე მგონია, ნოდარ დუმბაძემ და მასთან ურთიერთობაში იუმორისტული მხატვრობის მიმართ სიყვარული გამიღვივა. საოცრად დადებითი ენერგეტიკის მატარებელი ადამიანი იყო.

სკოლაში სწავლის პერიოდში, თანაკლასელებსა და პედაგოგებს აქტიურად ვხატავდი. მასხვებს, ბიოლოგიას რევაზ მიშველაძის მეუღლე მასწავლიდა და ყოველთვის, საკლასო ოთახში შემოსვლისას, დაფაზე დახატულ რეზო მიშველაძის

კარიკატურას ვახვედრებდი. ეცინებოდა, ახლაც ნაშალო.

1995 წელს არჩილ სულაკაური დამავლო ხელი და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში მიმიყვანა. პირადად გამაცნო ის მწერლები, იქამდე რომ არ ვიცნობდი. იცით, როგორი მონინება მქონდა მათ მიმართ? ჩემთვის, ისინი ჩვეულებრივი მოკვდავნი როდი იყვნენ. შოთა ნიშნინაძე, ტარიელ ჭანტურია, გურამ დოჩანაშვილი, ერლომ ახვლედიანი ჩემი უფროსი მეგობრები გახდნენ. ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო მათთან მუშაობა.

ერთ ზაფხულს ანა კალანდაძეს შინ ვეწვიე. ოთახში ჟურნალისტი იჯდა, ინტერვიუს იღებდა მისგან, მე კი ვხატავდი. ქალბატონი ანა მეორე სართულზე ცხოვრობდა, ოთახის ფანჯრები ღია იყო და იქიდან მსხმოიარე თუთის ხე „შემოვკვე-ქეროდა“. ცნობილი ლექსი გამახსენდა. მასპინძელმა კი საოცარი რამ მიაჩნო: თვითონაც არ ვიცი როგორ, მაგრამ თუთის ხე ჩემი ფანჯრის წინ მას მერე ამოვი-და, რაც ის ლექსი დავეწერეო.

— შვილებს უყვებით თქვენი უფროსი მეგობრების შესახებ? ოჯახის მდიდარი ბიბლიოთეკა რამდენად იზიდავს ბავშვებს?

— ხანდახან, ჩემს უფროს ვაჟს ვაუბრაზდები ხოლმე, წიგნი გადაშალო, ცოტა მაინც წაიკითხო-მეთქი. ჩემი სტუდიის მოსწავლეებსაც, ტელე-გაკვეთილებზე დამსწრე ბავშვებსაც ხშირად ვუმოკვრებ: „იკითხეთ წიგნები“. კითხვა გონებას აწვითარებს, ფანტაზიას ამდიდრებს. ბავშვი, რომელსაც წიგნი უყვარს, არასოდეს იკითხავს: „რა დავახატო, მასწავლო?“

— თქვენი აზრით, რამდენადაა ლიტერატურა მხატვრობის მასაზროვებელი?

— ხომ იცით, ილია ჭავჭავაძეს აქვს ნათქვამი: „არც უწინმეორეს ვარგა და არც მარტოოდენ წიგნებიდან გამოხედვა“. მხატვრისთვის ლიტერატურა გარკვეული ბიძგისა თუ სტიმულის მიმცემი მართლაც არის და მრავალ საინტერესო თემას აპოვნინებს. მაგალითად, გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველი“ რამდენიც უნდა იკითხო, პერსონაჟების მრავალფეროვნებას, ხასიათების მრავალფეროვნებას, სიუჟეტურ სიღრმეებს ვერ ამოწურავ.

მართალია, შეკვეთებს ვიღებ ხოლმე და ნიგნის ილუსტრაციებს ვქმნი, მაგრამ მე თვითონ არასოდეს გამჩენია სურვილი, წაკითხული წიგნის პერსონაჟთა სახეები დამეხატა, ან სიუჟეტები გადმომეცა. თუმცა, კითხვა მუდამ გარკვეულ სტიმულს მძლევდა, რომ მეფიქრა ახალ-ახალ თემებზე და ჩემი ფანტაზიით შექმენა სახეები. ისე, მხატვრობა და მწერლობა ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ორივე თავისებურად ჰყვება „ამბავს“.

სახვით ხელოვნებას ლიტერატურა გარკვეულწილად მართლაც ასაზრდოებს, მაგრამ ნამდვილი შემოქმედებისთვის ეს საკმარისი არ გახლავით. ვფიქრობ, ბუნებასთან სიახლოვე არანაკლებ მნიშვნელოვანია.

— ბოლო ხანს ნიგნის კითხვა უფრო ინტენსიურად დავიწყებ, მითხარი. რა ლიტერატურას კითხულობთ?

— მგონი არ არის აუცილებელი, საყვარელი ავტორებისა და ნაწარმოებების ჩამოთვლას შევედგე. მხოლოდ იმას

გეტყვით, რომ ვაჟა-ფშაველა და გურამ დოჩანაშვილი ჩემი რჩეულები არიან.

— ახალი თაობის ქართველ მწერლებზე, მათ შემოქმედებაზე რას იტყვით?

— ბევრია მწერალი, რომელთა ტექსტებზეც არ დამაინტერესა. არიან ისეთებიც, რომელთა დამოკიდებულებაც სხვადასხვა ფასეულობისა თუ საკითხისადმი მიუღებელია ჩემთვის. კონკრეტულად არავის დავასახელებ. რაც ძალიან მომწონს — აკა მორჩილაძის შემოქმედებაა. მის პროზას ზეთისხილს შევადარებდი. თავდაპირველად დიდად არ მომეწონა, მაგრამ როცა ხელმეორედ „დავაგე-მოვნე“, ველარ მოვწყდი. მართალი გითხრათ, კითხვისთვის დრო არც კი მრჩება. იმდენად დაკავებული ვარ, რომ დღეში სამი გვერდი თუ წავიკითხო, ზედიზე ვარ ხოლმე. სტუდიაში ხმაურია, ხალხი მიდი-მოდის და ნიგნთან ჯდომა რთულია. ლიტერატურის საკითხავად ადამიანმა შესაფერისი გარემო უნდა შეიქმნას.

შარშან გერმანიაში ვიმოგზაურე და გავოცდი, რამდენს კითხულობენ იქაურები. საზოგადოებრივ ტრანსპორტში ერთ გერმანელს ვერ ნახავ, ნიგნი რომ არ ჰქონდეს გადაშლილი. ჩვენთან კი, სამწუხაროდ, მსგავსი არაფერი ხდება.

— თქვენი წუხილი გასაგებია, მაგრამ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისას სერიოზული ლიტერატურის კითხვა როგორ წამოგიდგენიათ? განა არ თქვით, ნიგნისთვის შესაფერისი გარემოა საჭიროო?

— ცხადია, „სამოსელ პირველს“ მეტრითი მგზავრობისას ვერ ნაკითხავ, მაგრამ ალბათ დამებუთხებენ, რომ წიგნში თავჩარგული ადამიანების ცქერა ძალიან სასიამოვნოა. გარდა ამისა, იცით, რა ვფიქრობ? ადამიანი ყველანაირი რანგის ლიტერატურას უნდა კითხულობდეს, სხვადასხვა ავტორის შემოქმედებას მაქსიმალურად ეცნობოდეს, რომ შეძლოს ერთმანეთისგან განარჩიოს კარგი და მძაფრ ტექსტი.

— თუმცა, მალამხატვრული ღირებულების მქონე ნაწარმოები, სულაც არ არის აუცილებელი, თქვენს საყვარელ ნიგნად იქცეს.

— ვიცნობ ადამიანებს, რომლებიც სიახლოვეთ ეცნობიან საშუალო დონის ლიტერატურას და ამბობენ, „წყალივით“ იკითხებო. ყველა ვერ მოსთხოვ, დიდი ლიტერატურა უყვარდაც. ყველაფერი მაინც მკითხველის გემოვნებაზე დამოკიდებული. მაგალითად ლემონი, მსოფლიო ლიტერატურა წიგნის მოყვარულებს დიდ არჩევანს სთავაზობს. თუმცა, ხშირად ვერ ვხვდები, ქართველი გამოცემებიც სკანდალებით ცნობილი, არცთუ ნიჭიერი ავტორების წიგნებს რატომ ბეჭდავენ? ან ჟურნალ-გაზეთების გარეკანები რისთვის ქრეფდება მათი ფოტოები? არსებობენ ისეთი ავტორები, რომელთა ლიტერატურაც ჩემი აზრით არ უნდა „გააპიარო“. როცა კითხვას ვსვამ: „რატომ ესენი და არა, მაგალითად, გურამ დოჩანაშვილი?“ მპასუხობენ, ხალხს ესენი აინტერესებსო. რეალობაა. ამიტომაც, ბევრ ახალგაზრდა მწერალს კუდი ყავარზე აქვს გადახული და ფიქრობს, დიდი შემოქმედი ვარო. მე კი პირიქით ვფიქრობ, მწერალი უბრალო და თავმდაბალი ადამიანი უნდა იყოს, მკითხველი უყვარდეს.

ესაუბრა თამარ ჟურული


სუნთქვას, მზად რომ იყო გასაქრობად, ისევ დაუბრუნდა, ისევ კერელად იქცა. ხელი არ გაუხრეწია, გაქვავებული იდგა და შინაგანი ხედვით საკუთარ თავს და-ჟინებით ადევნებდა თავს — როგორ გა-დაინერა პირველად. ამ ნიშნის შემდეგ, რომელითაც აკრობატი ჩვეულებრივ აფრთხილებს ხოლმე პუბლიკას, სასიკვდილოდ სახიფათო ნომერს ვინყებო, კერელმა უკვე ველარ შეძლო უკან დახევა. მკვლელის როლის შესრულებისას უკიდურესად დიდი სიფრთხილეა საჭირო: მეზღვარი უხეში მოძრაობით არ უნდა შეაშინოს, რადგან, ალბათ, ვიკი ჯერ მიჩვეული არ არის მოკვლას და შეიძლება დაიყვიროს. მაშინ დამნაშავე იძულებული გახდება სამკვდრო — სასიცოცხლოდ იბრძოლოს, იყვიროს, სადაც მოხდება, იქ დაარტყას. ბოლოს, კადისში, მსხვერპლმა კერელს საყველო დაუსვარა. კერელი ვიკისკენ შებრუნდა და, იმის გამო, რომ ილიაში პაკეტი ჰქონდა ამოწრილი, ხელის მოუხრებელი მოძრაობით ვიკის სი-გარეტი და ასანთი გაუწოდა.

- აჰა, მოუკიდე. ჯერ მოუკიდე.
- ქარისგან თავი რომ დაეცვა, ვიკი ზურ-გიტ შებრუნდა.
- მოუნებოდით, რადგან ლამაზი, პა-ტარა სიფათი გაქვს. ისე რომ მოგენია მისი შიბლა, სიგარეტს როგორც ეწევი, ალბათ კაიფსაც დაიჭერდა!
- ვიკიმ ბოლი გამოუშვა, კერელს მოკიდებული სიგარეტი გაუწოდა და უპასუხა:
- კი, მაგრამ არა მგონია ასეთი შანსი მიცეს.
- კერელმა ჩაიხიზნა:
- მართლა? მე? არც მე მაქვს შანსი?
- წადი, შენი...
- ვიკის გზის გაგრძელება უნდოდა, კერელმა ფეხი გამოშალა და შეაკავა. კბილებ-შუა სიგარეტმოქცეულმა უთხრა:
- კარგი ერთი... განა მარიოზე ნაკლე-ბი ვარ?
- რომელი მარიო?
- რომელი მარიო? შენი წყალობით კედელში გავივლი, განა არა?
- რა? რას ბოდავ?
- მაშ, არ გინდა?
- აბა, აბა, მიქარვას თავი დაანებე...

ვიკიმ წინადადება ველარ დაამთავრა. კერელმა უცბად ყელში წაუჭირა ხელი, პაკეტი ჩამოუვარდა და ბილიკზე დაეცა. ასევე სწრაფად ჯიბიდან უკვე გახსნილი დანა ამოიღო და მეზღვარს საძილე არ-ტერიას გადაუჭრა. ვიკის ლაბადის საყველო ანეული ჰქონდა და სისხლი ტანსაცმელზე ჩამოედვარა, ლაბადაზეც, კერელი არ განუწა. თვალდამბრუნებულ მთავრად იშვილებული შექანდა, ხელით ძალზე დახვეწილი მოძრაობა გააკეთა და თითქმის ნეტარ მდგომარეობაში ჩაიძირა; უცბად ამ ბუ-რუსით მოცულ პეიზაჟში იმ ოთახის ის მყუდრო ატმოსფერო შეიქმნა, სადაც სომხის მკვლელიცაა მოხდა, და ეს ყვე-ლაფერი ვიკის შესტმა გაახსენა. კერელი მას მარცხენა ხელით ძლივს აკავებდა და ნელა მიაწვინა კუთხისპირა ბალახზე, სადაც სული ამოხდა კედელზე.

მკვლელი ნელში გაიმართა. ის იმ სამ-ყაროს სუბიექტი იყო, რომელიც საფრთხე არ არსებობდა, რადგან თავადვე იყო საფრთხე. მშვენიერი, ურყევი და მიუწვდომე-ლი სუბიექტი, რომლის სიღრმიდან, ხმაუ-რიანი სიციხისგან, კერელს ესმოდა როგორ იმღებოდა, ხმაურობდა, გარსე-რტყმოდა და იცავდა მისგანვე გამოსული საშიშროება. მიცვალებული, ალბათ, ისევ თბილი იყო. ვიკი ჯერ კიდევ არ იყო მიცვალებული. ის ახალგაზრდა კაცი გახ-ლდათ, რომელიც ამ უჩვეულო სუბიექტ-მა, ასეთმა ხმაურისგან და ცარიელმა, ოდნავ გაღებულმა- პირიანმა, ჩავარდ-ნილმა ცენტრულიდან და სველმიანმა, გამეშვებულ ტანსაცმელი რომ ეცვა და ფეხებიც, ალბათ, ასირიელის წვერივით, ხშირი და ხუჭუჭა თმით ჰქონდა დაფარუ-ლი, ბურუსში გახვეული თითებით ახლახ-ნი მოკლა. მსუბუქი სუნთქვა, რომელიც თავად კერელი გადავიდა, აკაციის ეკლიან ტოტზე დაეკიდა და მოუსვენრად იცდი-და. მკვლელმა ორჯერ, მოკრივესავით, სწრაფად ამოიფშვინა და ტუჩები ჩუმად ამოძრავა, რომლის გავლითაც მის პირში ისევ შევიდა კერელი, თვალბოლო ავიდა, თითებში დაემკვა და მთელი სხეული აავსო. კერელმა ფრთხილად მოაბრუნა თავი, ტანის ზედა ნაწილი კი უმოძრაოდ დატო-ვა. ჩქამი არ ისმოდა. დაიხარა, ბალახის ბლუჯა მოვლიჯა და დანა განმინდა. ერთ ნაბიჯს ისიც მოეჩვენა, რომ ახალ არაქანში მარწყვს აწყობდა და თითებს შივ ყოფდა. მუხლისთავს დაეყრდნო და გაიმართა, მკვ-დასს გასისხლიანებული ბალახის ბლუჯა

მიაყარა, ისევ დაიხარა, ოპიუმის პაკეტი აიღო და უკვე მარტომ გააგრძელა ხეებს შორის გზა. ამბობენ, დამნაშავეს დანაშაუ-ლის ჩადენის მომენტში სჯერა, რომ ვერა-სოდეს დაიჭერენ. ცხადია, შეიძლება, მარ-თლაც არ აქვს უნარი, ზუსტად წარმოიდგ-ინოს თავისი ქცევის შემზარავი შედეგი, თუმცა მშვენივრად იცის, რომ ეს ქმედება სიკვდილს მიუსჯის. სიტყვა „ანალიზი“ არც ისე მარჯვე სიტყვა გვგონია. შეიძლება ვცადოთ და ეს თვითგანაჩენის მექანიზმი სხვა საშუალებებითაც გავხსნათ. კერელი რალაც თავზებელაბეულ ზნეობრივ მკვ-ლეულად წარმოგვიდგინა. სინამდვილეში, დამნაშავეს უნარი არ აქვს გაიგოს, დაიჭ-ერენ თუ არა, იგი გამოუდგებულ შიშში ცხ-ოვრობს, რისგანაც მხოლოდ თავისი ქცე-ვის უარყოფით, დანაშაულის გამოხატვით შეიძლება გათავისუფლდეს. ე. ი. საკუთარ თავს თვითონვე უნდა გამოუტანოს განაჩე-ნი (რადგან, როგორც ჩანს, მკვლელობის აღიარების შეუძლებლობა დამნაშავეში იწვევს პანიკურ, მეტაფიზიკურ და რე-ლიგიურ შიშს). კერელი, ციხე-სიმაგრის კედლის ძირთან, თხრილში, ბურუსითა და სიბნელით გარშემორტყმული, ზურგით ხეს მიყრდნობილი იდგა. დანა ჯიბეში ჩაიდო ისევ. ბერეტი ორივე ხელით საქამრესთან



ჟან ჟენე

კერელი და ვიკი

ნაწყვეტი რომანიდან „კერელი ბრესტიდან“

პომპონით მუცლისკენ ეჭირა. არ იღიმე-ბოდა. საკუთარ თავს უკვე ნაფიც მსაჯულ-თა სასამართლოზე ხედავდა, ისევე, როგორც ყოველი მკვლელობის შემდეგ წარმოიდგენდა ხოლმე. დანაშაულის ჩად-ენის მომენტებიდან კერელი გამოუდგებოდა გრძობდა მის მხარზე დადებულ წარმო-სახვითი პოლიციელის ხელს და ცხედრის ადგილ-სამყოფელიდან უცხო თვალ-ისთვის დაფარულ ადგილამდე, თავისი უჩვეულო ბედის სიმძიმით, ნელში მოხრილი მიდიოდა. ასიოდე მეტრი გაი-არა, ბილიკიდან გადაუხვია, ქალაქს გარსემოვლებული ციხე-სიმაგრის ძირში, თხრილში ამოზრდილი ხეებსა და ეკლიან ბუჩქებს შეეფარა. შეშინებული გამოსდგა ჰქონდა და პაკეტის მიმე სიარული, სუ-ლის სიღრმეში კი ურყევად სჯეროდა — რაც ურცხვად მონშობს მის სიახლოვეს პოლიციელთან — რომ გმირი იყო. ადგ-ილი დამრეცი აღმოჩნდა, ეკლიანი ბუჩ-ქნარით დაფარული.

„მშვიდობით, თავისუფლება“ — გაიფიქრა და თითქმის მაშინვე: „რა დროს ცხვირის ჩამოსვლია!“

თხრილის სიღრმეს მიაღწია და, ერთ ნაბიჯს გაემკვა. მსუბუქი ნიაკი გამხმარ, გა-შვებულ ბალახის ბასრ ბოლოებს ამრი-ალებდა. ამ შრილის უცნაური სიმსუბუქე სიტუაციას კიდევ უფრო უჩვეულოს ხდი-და. ის ბურუსში მიდიოდა დანაშაულის ად-გილის საპირისპირო მიმართულებით. ნია-ვდანაქროლი ბალახი ისე ნაზად შრიალებ-და, როგორც ათლეტის ნესტოებით სუნთქვა ანდა აკრობატის სიარული. ლურჯი აბრეშუმის ღია ფერის მაისურში გამოწყობილი კერელი ნელა მიინეგდა წინ, ლაყვარდოვანი ტრიკო ლითონის მო-ქლონებებიანი ტყავის ქამრით ჰქონდა სხ-ეულზე აჭიმული. იგი ყოველი უკნთის მდუ-მარე არსებობას გრძობდა, ერთმანეთთან შეთანხმებული მოძრაობით მდლევარე სი-ჩუმისგან ქანდაკება რომ აღმართეს. ორივე მხარეს, თავიანთი ნადავლისადმი

სინაზითა და სიძულელით აღვისილი, ორი უჩინარი, დიდებული და მეგობრულად გან-წყობილი პოლიციელი მოჰყვებოდა. კერ-ელმა ბურუსში კიდევ რამდენიმე მეტრი გა-იარა, ბალახი ისევ ისე შრიალებდა. უნდო-და სენაკით მშვიდი, განმარტობული ადგილი ეპოვა, ადგილი შერეული და დიდებული, ხელსაყრელი იმისთვის, რომ სასამართლოს ადგილად ქცეულიყო.

„ოლონდ ჩემს კვალზე არ გამოვიდნენ“ — გაიფიქრა.

ინაზა, უკან დაბრუნებისას გათელილი ბალახი რომ არ გაასწორა, მაგრამ თავისი შიშის აბსურდულობას მაშინვე მიხვდა, მერე ისიც იფიქრა, რომ ყოველი ნაბიჯი საკმაოდ მსუბუქი ჰქონდა და ბალახის ბელო თავისით გასწორდებოდა ნელში. ბოლოს და ბოლოს გვამსაც, ოლონდ, არა უგვიანეს დილით აღმოაჩენდნენ. იმაზე ადრე არა, ვიდრე მუშები სამუშაოზე წავი-დოდნენ: ზუსტად ისინი ნაანყფებიან ხოლმე გზებზე დარჩენილ დანაშაულობა-თა ნაკვალევს. ბურუსი მას ხელს არ უშლი-და. ჭაობის სუნი ცხვირში ეცა. სიმყრალის გაშლილი ხელები მის თავზე შეიკრა. კერ-ელი წინ მიინეგდა. ერთ ხანს შიშში შეეპარა კიდევ ხეებზე მყუყულ შეყვარებულითა წყვილს არ გადაწყვიტა, თუმცა წლის ამ დროს ეს ნაკლებად მოსალოდნელი ჩანდა. ტოტები და ბალახი ნესტით იყო გაუქმ-თილი, მთელი სივრცე აბლაბუდას ქსელეობით დაეხერა, მათზე დაკიდებული ნვეთები კი წინაშე კერელს სახეს უს-ველებდა. რამდენიმე წამს მკვლელი მოჯა-დოებულებით უყურებდა ზღაპრულად ნაზ ტყეს, ლიანებით დახლართულს, ნახევრად სიბნელეში იდუმალად მზის სხივებით გაო-ქროსფერებულს, საჰაერო სტომაქიდან ამომავალ დამაბრმავე ბოლოებს, რომელიც, თითქოსდა ყველაფრის გამოლ-ვიძების შუქს ასხივებდა. ბოლოს ერთ დიდ-ტანთან ხესთან აღმოჩნდა. მივიდა და ფრთხილად შემოუარა ირგვლივ, ზედ მიეყ-რდნო, იმ ადგილისკენ ზურგმექცეული, სადაც გვამი ედო. ბერეტი მოიხადა და ისევ დაიჭირა, უკვე რომ აღგნერეთ. თავს ზე-მოდან ჩამოსვებული ტოტებისა და ბურ-უსის უნაზის ციაფეთების საუცხოო უნეს-რიგობას გრძობდა. მის გონებაში უკვე მკაფიოდ იხატებოდა საბრალმდებლო დასკვნის ყველა დეტალი. თვალებით,

მართლო დარბაზში განაჩენის გამოტანას ესწრებოდა. პროცესს თვალს ადევნებდა და ხელმძღვანელობდა კიდევ. დროდრო განელილ ფიქრებს მინიერი და ნათელი აზრი აწყვეტილებდა: „რამე ლაქები ხომ არ დამრჩა?“, ან „უცბად ვინ-მემ რომ გზაზე გაიაროს...“, მაგრამ მის ბაგეზე გაჩენილი მსუბუქი ღიმილი შიშს აძევებდა. ოლონდ, მშვიდობიანი ღიმილის მეტისმეტად ნდობა არ ღირს, მისი მოვა-ლეობა ბინდუდის გაფანტვა: ღიმილს შეუძლია შიში გამოიწვიოს, ჯერ თქვენს გამიშვებულ კბილებზე ურჩხულის ჩანა-სახი გამოიჩინებ, ხახა, რომელსაც თქვენს ბაგეზე გამოსახული ღიმილის ზუსტი ფორმა ექნება, მერე ურჩხული თქვენში განვითარდება, თქვენი თემისგან, თქვენში იცხოვრებს, ბოლოს, უფრო შემზარავი გახდება და ღიმილისგან სიბ-ნელეში შექმნილ მოჩვენებად იქცევა. კერ-ელმა გაიღიმა. ხე და ბურუსი სიბნელისა და შურისძიებისგან იცავდნენ. ისევ სასა-მართლო პროცესს დაუბრუნდა. ამ ხის ძირთან თავს მონარქად გრძობდა და თავის წარმოსახვით ორულს შიშის, აღმ-ფოთების, ნდობის, კანკალის, თორთოლვის გამოხატვას უბრძანებდა. ამაში წიგნი-ბიდან ამოკითხული გახსენება ეხმარებო-და. სასამართლოს სხდომის შეწყვეტა აუცილებელი იყო. მისი ადვოკატი ადგა. კერელს მოუნდა წუთით გონება დაეკარ-გა, იმ გუგუნს შერეოდა, მის ყურებში რომ ისმოდა. საჭირო იყო პროცესის დამთავრების გაჭიანურება. როგორც იქნა, სასამართლო დაბრუნდა. კერელმა იგრძნო, როგორ ფითრდებოდა.

„სასამართლომ სიკვდილი მოგისა-ჯათ“.

მის ირგვლივ ყველაფერი გაქრა. თეი-თონ და ხეებიც დაპატარავდნენ, გაოცე-ბამ შეიპყრო, როცა გაიანარა, რომ გაფითრდა და სუსტი აღმოჩნდა ამ ახალი თავგადასავლის წინაშე, ისეთივე გაოცე-ბამ, ჩვენ რომ განვიცადეთ, როცა ორ პოლიციელს შორის მიმავალი ვეიდმანი* დავინახეთ, რომელიც სულაც არ აღმოჩნ-და ის გიგანტი, შუბლით კედლების ზედა ტოტებს რომ ეხება, არამედ ერთი, ჩვეუ-ლებრივი, მორცხვი ახალგაზრდა კაცი იყო, მკვდარივით გაფითრებული, ოდნავ ცვილისფერსახიანი, სიმაღლით ერთი მეტრი და სამოცდაათი სანტიმეტრი. ამ მომენტში კერელმა საშინელი ტანჯვა იგრ-ძნო, რადგან გაითავისა, რომ ისევ ცოცხ-ალი იყო და ყურებშიც საშინელი ხმაური ესმოდა. საკუთარი ტანჯვისადმი მის დამოკიდებულებას შეიძლება უკეთესად მივხვდეთ, თუ იმასაც აღვწევთ, რაც ერთხელ სიკვდილის წინაშე განიცადა: მე-საფლავებმა დედამისის ცხედარი მი-წიდან ამოიღეს, რათა სასაფლაოს სხვა კუთხეში გადაესვენებინათ, კერელი კი მე-ტისმეტად ადრე მივიდა და მარტო აღ-მოჩნდა კუბოსთან, რომელიც მუშებს საფლავიდან ამოვლოთ და იქვე დაედგათ. ბალახი სველი იყო, მიწა ნოყიერი, საკმაოდ ციოდა. კერელი ჩიტების ჭკვიცს უსმინ-და. ის იჯდა კუბოზე, რომელიც დედამი-სი იხრწნებოდა. სუნი, ფიცრებს შორის ღიად დარჩენილი ადგილებიდან რომ ამო-დიოდა, ხელს სულაც არ უშლიდა. იგი ბუნებრივად ერეოდა ბალახის, გათხრილი მიწისა და სველი ყვავილების სუნს. ბიჭი, ისეთ კეთილშობილურ მოვლენას, რასაც სათავყვანებელი სხეულის ხრწნა ჰქვია, პირველად შეეჯახა: ეს გახლდათ ტანჯვა, საკუთარი შინაგანი მდგომარეობიდან რომ მოდიოდა და სამყაროს ბუნებრივ წესრიგში ეწერებოდა.

გააკანკალა. მხრებზე, ბარკლებზე და ფეხებზე შეამცივნა. ისევ ხის ძირში იდგა ტილოს უნიფორმითა და ლაბადის მაგარი საყელით და ცულო, ხელში ბერეტი ეჭირა და ილიაში ოპიუმის პაკეტი. ბერეტი დაიხურა. ბუნდოვანი გრძობა კარნახობ-და, რომ ეს ჯერ კიდევ არ იყო დასასრუ-ლი. დასჯის ბოლო ფორმალის აღ-სრულებლა რჩებოდა.

„უნდა დამსაჯონ! მერე რა!“

ახლა, ალბათ, მიხვდებით, ცნობილმა დამნაშავემ, რომელსაც თითქოსდა არც არაფერი ეშუქრებოდა, დაპატიმრები-სთანავე სასამართლოზე რატომ თქვა: „ეგრძობოდა, სადაცაა დამიჭირდნენ...“. კერელი გამოცოცხლდა, ოდნავ წინ წაი-წია, ხელები დაიხმარა და ბალახით და-ფარულ მდელით ავიდა, ტოტები ლოყებ-

* ეფენ ვეიდმანი — ექვსი კაცის მკვ-ლელობისთვის სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა, ის ბოლო იყო, ვისაც 1939 წელს საფრანგეთში საჯაროდ მოჰყვეთეს თავი გილიოტინაზე.



ინგებორგ ბახმანი

ინგებორგ ბახმანი მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გერმანულენოვანი ავტორია. ის თანაბრად ცნობილი როგორც პოეტი, პროზაიკოსი, ესეისტი და დრამატურგი. დაიბადა 1926 წელს ავსტრიაში. სწავლობდა ვენაში გერმანისტიკის, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტებზე. იყო მწერალთა ცნობილი გაერთიანება „ჯგუფი 47“-ის წევრი. მიღებული აქვს ისეთი მნიშვნელოვანი ჯილდოები, როგორცაა გეორგ ბუხნერის, ავსტრიის დიდი სახელმწიფო, გერმანულ კრიტიკოსთა, ბრემენის ლიტერატურული და სხვა პრემიები. თავად მისი სახელობის პრემია კი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანადაა მიჩნეული გერმანულენოვან სამყაროში. ბახმანი გარდაიცვალა 1973 წელს რომში, მის ბინაში გაჩენილი ხანძრის შედეგად. არსებობს მოსაზრება თვითმკვლელობის შესახებ, თუმცა ეს ვარაუდი დღემდე დაუზუსტებელია.

ვსალმუნი

1. ამ ზარებივით, ჩემთან ერთად დადუმდეს ყველა! რაც შიშის შემდეგ იბადება, მშვიდი ბრბოა, საზრდოდ მხოლოდ ახალ ხორცს ითხოვს. წითელ პარასკევს გამოკვეთავს ცის გუმბათს ხელი, მას სამი თითით უპყრია ზეცა, მაგრამ თავს ვერ სდებს, რომ რაც იყო, ის ყველაფერი სინამდვილეში არ ყოფილა. და არც იქნება. ის გარიჟრაჟზე გამოკრთება, ახალ მკვლელებს თან გაიყოლებს და ვალმოხდილი ბრუნდება უკან.

დადგება ღამე დედამიწაზე, ყველა სარკმელს ჩამოგლეჯს ფარდას, რათა სწეულთა საიდუმლო გააცხადოს ტკივილებით, კანს რომ ბერავენ, მრავლდებიან უსასრულო სურვილების გამოსაკვებად.

ყასაბი იცვამს ხელთათმანს და განწირულთა სუნთქვას აკავებს. მთვარე იატაკს ენარცხება ვალებულ კარში, ხელი არ ახლო ნამსხვრევებს, არც რკალს...

ყველაფერი მიმართული იყო ზეთის კურთხევად (საიდუმლო ვერ აღსრულდება.)

2. რა ამაოა ყოველივე. გადალახე გზა ქალაქისკენ, აღმოცენდი ქალაქის მტვრიდან, შენი ხვედრია ითვალთმაქცო იმთა წინაშე, ვიდრე ისინი განგძარცვავენ შენი თავიდან.

აუსრულე, რასაც დაპირდი დაბურულ სარკეს ჰაერში და ქარიშხალში დარაზულ კარებს.

მიუვალა ციკაბო გზა სამოთხისაკენ.

3. ო, თვალეხო, ამომწვარნო მზით გადამხმარ დედამიწაზე, დამძიმებულნი ყველა თვალის ნანვიმარით, ანმყოს მწუხარე ობობების უჩინარ ქსელში გადახლართულნი...

4. ჩემი დუმილის სამარეში ჩაფალი სიტყვა და ზე-აღმართე ტყეები ორმხრივ, რომ ბაგე ჩემი სამუდამოდ დაფაროს ჩრდილმა.

სა და ხელეზე ეხებოდა. ღრმა ნაღველი მოაწვა, დედის ხელების სითბო მოენატრა, იმიტომ, რომ ეს ეკლიანი ტოტები სათუთი და ხავერდოვანი იყო, მათზე ბურუსი იწვა და ქალის მკერდის ნაზ ნათებას აგონებდა. რამდენიმე წამის შემდეგ უკვე ვინრო ბილიკზე იდგა, მერე გზაზე გავიდა და ქალაქში სხვა კარიდან შევიდა, არა იმ კარიდან, საიდანაც ცოტა ხნის წინ მძაკაცთან ერთად გამოვიდა. გვერდით ვილაღ აკლდა.

„მარტოობა მოსაწყენია“.

ულონოდ გაიღიმა. ბურუსში უკან მოიტოვა რაღაც უჩვეულო, ბალახზე მიგდებული ნამცეცა სიმშვიდე და სიბნელე — უხილავი და ნაზი განთიადის სხივებში, რაღაც წმინდა თუ დანყველილი, ახლა ქალაქში შესვლის უფლებების მოლოდინში, ცოდვების მიტევების და წინასწარი განწმენდის სტადიაში, კედლის ძირთან რომ გაშეშებულიყო. იცოდა, მიცვალებულს უფერო სახე უნდა ჰქონოდა, ყველა ნაოჭნაშლილი. გრძელი და მოქნილი ნაბიჯებით, თავისი ოდნავ მოქანავე თამამი სიარულით, რის გამოც ადამიანები, უცნობებიც კი, მასზე ამბობდნენ: „ამ ბიჭს ყველაფერი ფეხებზე ჰკიდა“ — ო, კერული, უკვე სრულიად დამშვიდებული, „ლა ფერისკენ“ გაემართა.

ეს თავგადასავალი რაღაც შენელებული ფორმით წარმოგედგინეთ. მიზნად მკითხველის შემინება არ დაგვისახავს, მაგრამ გვინდოდა ეს მკვლელობა რაც შეიძლება ცოცხლად და მხატვრულად წარმოგვესახა. უფრო მეტიც, ამავე ხერხის გამოყენებით ვაპირებთ ჩვენი გმირის

ჰეი, სიტყვაბო!

წელი საქსს, მეგობარს, პოეტს, პატივისცემით

ჰეი, სიტყვაბო, ჩემსკენ, იჩქარეთ! მართალია შორს წავედით, მართალია დიდი მანძილი გავიარეთ, მაგრამ ჩვენი გზა წინ გვეწევა, დაუსრულებლივ.

ნათელი არრას მოეფინება.

სიტყვას აქვს ძალა, მიიერთოს სხვა სიტყვები, მიამატოს სტრიქონს სტრიქონი. ასე სამყარო ცდილობს დასრულდეს, ამობრუნდეს, ითქვას ბოლომდე. არ თქვამთ ის თქვენით.

სიტყვაბო, ჩემსკენ! უსასრულოა თქვენი სწრაფვა უნარისკენ — აზრი — აზრით გააბათილოთ.

უნდა იყურონ ცოტა ხანი თქვენში გრძნობებმა. გულს უბრძანეთ — სხვანაირად დაიწყოს ძგერა.

უნდა იყურო-მეთქი, უბრძანეთ!

მის მაღალ სმენას არ უნდა მისწვდეთ, ვამბობ ჩურჩულით. სიკვდილი თქვენით ვერ იცოცხლებს — ნამომყევით, უფრო მკაცრნი უნდა იყოთ. ნუხილი თქვენი საქმე არ არის. აღუწერელი დარჩება ის, რაც ასე ითხოვს აღწერას —

რაც არაფერს ინახავს თავში — მხოლოდ მტკერია, მოჩვენება, რომელიც მკვდარი ბგერებისგან გრაგნის სიტყვებს და მათსავით ცარიელია.

მკვდარი სიტყვა არ ითვლება, ჰეი, სიტყვაბო!

ენიგმა

ჰანს ვერნერ ჰანსს არიოსის დროიდან

ალარაფერი მოხდება. გაზაფხული ალარ დადგება. ათასწლოვანმა კალენდრებმა ასე გვაუწყეს.

არც ზაფხული და დანარჩენი, რასაც ასე ზუსტად ერქვა საზაფხულო — ალარ მოხდება.

არა, ნუ ტირი, ამბობს მუსიკა.

სხვას ალარავინ არაფერს ამბობს.

არაპითარი დელიკატესაჰი

ალარაფერი მხიბლავს. ნუთუ უნდა მოიკაზმოს მეტაფორა ნუშის ყვავილით? სინტაქსი გადაჯვარედინდეს ხელოვნური შუქ-ჩრდილების გამოყენებით? ვინლა აიტკიებს თავს გაზვიადებული ამბებით —

მე ვისწავლე, ვალიარო მხოლოდ სიტყვები, ყოველთვის აქვე რომ არიან (ყველაზე დაბალი ფენისთვის):

შიმშილი, სირცხვილი, ცრემლი

და უკუნი.

მე ვიკმარებ ამ ურითმო ღრიალსა და უიმედობას (უიმედობამდეც უიმედო ვიყავი) აღსაწერად სილატაკის, სწეულების, ძვირი ცხოვრების.

მე ყოველთვის უმნიშვნელო ვარ ჩემ ნაწერთან შედარებით. სხვებმა იციან, თავს სიტყვებით როგორ უშველონ. ღმერთმა იცის, მე არა ვარ თავის მკურნალი.

ნუთუ უნდა გამოვკეტო ეს აზრები, გავანათო სტრიქონებით ვინრო საკანი? უმსუყესი სიტყვის ლუკმებით დაგანაყო თვალი და ყური? აღწერო ლტოლვა თანხმობანთა ხმოვნებისადმი და მათი ვნება გამოვიკვლიო?

ნუთუ ამ ჩემი დაცხრილული თავით, ამ წერისგან დაკრუნხული ხელის მტევანით, სამასლამიანი უძილობის შემდეგ უნდა გადავფხრიხო ეს ფურცელი, მოვისროლო ეს სიტყვების ოპერები, გამანადგურებლად ასე: მე, შენ და ის,

ჩვენ, თქვენ? (ხომ უნდა. დაე, სხვებს უნდოდეთ).

ჩემი წილი განწირულია.

თარგმნა მანია ლიპარტილიანმა

გამართლება. ყოველი დამნაშავეს ქმედებაში კერული სხვისთვის შეუმჩნეველ რაღაც დეტალს ხედავდა, შეცდომას, რომელსაც მისი დაღუპვა შეეძლო. საკუთარ შეცდომებს შორის ცხოვრება კი მასში სიმსუბუქისა და უკიდურესი არამდგრადობის შეგრძნებას იწვევდა, რის გამოც ეჩვენებოდა, რომ ერთი მოღუპული ღერიდან მეორეზე დაფრინავდა.

განათებული ქალაქის გამოჩენისთანავე კერელმა თავისი ჩვეული ღიმილი დაიბრუნა. როცა ბორდელის დიდ დარბაზში შევიდა, ის უკვე ყოჩაღი ბიჭი იყო, ნათელი გამოხედვა ჰქონდა, მეზღვაური იყო, რომელსაც, უბრალოდ, სანაპიროზე სეირნობა უყვარდა. რამდენიმე წამს მოცეკვავეებს შორის დაჰყო, მარტოდმარტომ, მაგრამ მისი მარტოობა დიდხანს არ გაგრძელებულა — მას უკვე ქალი უახლოვდებოდა: მალაღი, ქერა, ძალიან გამხდარი; შავი ტიულის კაბა ეცვა, ბოქვენის დონეზე — ერთდროულად რომ უფარავდა და გამოიკვთდა კიდევ — სამკუთხედად დაჭიმული გრძელხაოიანი შავი ბენვით გაცნობილი, ეჭვი არ არის ბაჭიას ბენვი იყო, მართალია, უკვე გაცვეთილი და ადგილ-ადგილ გაქუცული. კერელმა ქალს თვალში შეხედა, ბენვს ხელი მსუბუქად გადაუსვა, მაგრამ ზევით ასვლაზე უარი უთხრა.

წინოს ოპიუმის პაკეტი გადასცა. თავისი ხუთი ათასი ფრანკი მიიღო თუ არა, კერელი მიხვდა, რომ „განაჩენის აღსრულების დრო დადგა“.

თარგმნა ლევი კახაბერმა

დასასრული

ვინმესთვის გაუზიარებინა იგი. დიდ საიდუმლოებას ხომ ისეთივე მოზიარე სჭირდება, როგორც დიდ მწუხარებას ან დიდ სიხარულს. დიდი მწუხარება კლავს ადამიანს; დიდმა და გაუზიარებელმა სიხარულმაც შეიძლება ის იმსხვერპლოს, მაგრამ ყველაზე გაუსაძლისი მაინც, ალბათ, გაუზიარებელი საიდუმლოებაა. აკადემიკოსი კი ეს წუთი გადაურჩა საშინელ სირცხვილს და ის, რაც მას შემთხვევით, მისი გაუსაძლისი საიდუმლოება იყო.

— შეჩემა, რა არის ეს? — ჰკითხა გოგონებამდე გაოცებულმა ქორუგმა მის წინ ნაკუზულ და შარვალჩაბდილ კურორტოლოგს, რომელიც ალბათ გაცივებით მკითხველად და, ტრაკზე ედისონ ჰარტის სურათი ჰქონდა მიჭიკარტებული; ეს ორი სწავლული გვამი, როგორც უკვე ითქვა, ბავშვობის მეგობრები იყვნენ და ამიტომაც, მიუხედავად ასაკისა, და აკადემიკოსობისა, ზოგჯერ „შეჩემობით“ მიმართავდნენ ერთერთს.

კურორტოლოგმა ქორუგს სთხოვა, რომ ეს უკანასკნელი „თან საქმესაც“ შესდგომოდა, თვითონ კი ამასობაში მოალო პირი და ხითხითი ყველაფერი უამბო მეგობარს. ასე იყო სწორედ, დაიხ: ერთ აკადემიკოსს შარვალი ჩაეხადა და ნაკუზულიყო, ხოლო მეორე ჭრილობას უმუშავებდა მას. ლაპარაკობდნენ „შეჩემობით“, ხითხითებდნენ და იხსენებდნენ ათას ანალოგიურ რამეს, თუმცა ასეთი სასაცილო არცერთი იყო გარდა ერთისა: ერთხელ თურმე ქორუგმა დიდი ხნის წინ — ახალგაზრდობაში, როცა ის ახალბედა, გამოუცდელი ქორუგი იყო, ბრმა ნანლავის ოპერაციის გაკეთებისას, საკუთარი ხელით მიაკერა ავადმყოფს. ოპერაციამ ჩაიარა ნარმატებით; ბრმა ნანლავი ამოჭრილიქნა საუცხოოდ, თუმცა ქორუგი ისე გაერთო თავისი საქმიანობით, რომ ვერც კი შეამჩნია, ჭრილობის გაკეთებისას როგორ მიიკერა სამედიცინო თეთრი ხალათის ღილი ყვერზე, უფროსწორად კი პარკუჭზე, რომელშიაც ყვერები მოთავსებული... და ამას ჩივიხართ? ავადმყოფიც რომ ყვერზე მიიკერა. კიდევ კარგი ავადმყოფი ნარკოზისქვეშ იყო და ეძინა, თორემ რომ გაიღვიძებდა, ხომ გაგიჟებოდა, როცა დაინახავდა, რომ ექიმის ყვერებზეა „ჩერზე“ ღილი მიკერებული. ეჰ, ცხონებულმა პროფესორმა ივლიანე იუსტინეს ძე ფალავამ უმეღლა მაშინ საშინლად დაბნეულ და საკუთარი ნამოქმედარით ცაბმტვერებულ ახალგაზრდა ქორუგს, როცა ბებრული სიცხილ-ხითხითი გაკვეთა და თავიდან გაკერა ეს მართლაც უჩვეულო, დაუჯერებელი ნაკერი, რომლის მეშვეობითაც ავადმყოფი, ექიმის სამედიცინო ხალათის ღილი (შესაბამისად, ხალათიც) და ექიმის ყვერი ერთმანეთზე იყო მიკერებული ძაფით...

ქორუგმა ამოულო ჭიკარტი მეგობარს და კარგად დაუმუშავა ჭრილობა. მას თავისი ხანგრძლივი ქორუგოილი პრაქტიკის მანძილზე უამრავი უჩვეულო ოპერაცია ჰქონდა ჩატარებული და ამ ოპერაციების სამახსოვროდ შემოენახა სხვადასხვა ნივთი. მაგალითად: პატარა ქინძისთავი, რომელიც თურმე ფილტვიდან ამოულ ვიღაც პატარძალს. ეს პატარძალი საკუთარი ქორნილისთვის ემზადებოდა: სარკესთან იჯდა და საქონილო სამოსს ირგებდა, პირით კი ქინძისთავები ეჭირა. საწყალი, ალბათ, ძალიან ჩქარობდა და რომ ჩაიხსუნთქა ქინძისთავი, სასულეში გადასცდა. ქორუგს ასევე ჰქონდა შემონახული თითბერის ორმოცდაათეთერიანი მონეტა, რომელიც ვიღაც თორმეტი წლის ბიჭს ასევე სასულეში გადასცდნოდა. ბიჭი მანონზე გაეზაზუნა დედამ და თან ეს მონეტა გაეტანებინა — ის კი თურმე გზადაგზა მალა აგდებდა ორმოცდაათეთერიანს და კბილებით იჭერდა. ერთ-ერთი ასეთი მცდელობისას ბიჭს მონეტა გადაეყლაპა და სასულეში გადასცდა. ჰქონდა ექიმს კიდევ თავის კოლექციაში დაგრეხილი ჟანგიანი მავთულისგან გაკეთებული

ზურაბ ლეჟავა

საჭირბოროტო ჭიკარტი, ფალსიფიცირებული ტუალეტის ქალაქი და ეს ყბადღეობული საყოველთაო სინაღდე სიყაღნისა

ეგრეთწოდებული „იაკორი“, რომელიც, საავადმყოფოში მოხვედრის მიზნით, წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაეყლაპა ვიღაც ეჭვიანიანს. ეს „იაკორი“, ურთულესი ოპერაციის შედეგად, რის ვიწვავდახიბო ამოულეს ავადმყოფს კუჭიდან.

ერთი სიტყვით სტაჟიან ქორუგ-აკადემიკოსს ბევრი ასეთი რამ ჰქონდა კიდევ შემონახული და ეს ყველაფერი მის კაბინეტში თვალსაჩინო ადგილზე დამონტაჟებულ სტენდზე გამოეფინათ. აკადემიკოსმა ქორუგმა სპეციალური ანტისექტიკური ხსნარით გაარეცხინა თავის ასისტენტებს ედისონ ჰარტის სურათი, რათა მას ბუზები არ დაჰხვეოდნენ; ასევე იზრუნა ჭიკარტზე და გულმოდგინედ გაასწორებინა ის თავის ასისტენტებს. შემდეგ კი ეს სურათი სტენდის ცენტრალურ ადგილზე — სწორედ იმ ღილის გვერდით მიაჭიკარტა, რომელიც ღილის საკუთარ ყვერზე მიკერების პრაქტიკის მას ახალგაზრდობაში ერგო ბრმა ნანლავის ოპერაციის გაკეთების დროს. ედისონ ჰარტი ახლა უკვე აღარ გავდა ომგადახილ მეკობრეს, რომელმაც შიმშილის დასაოკებლად საყვარელი თუთიყუში შეჭამა, ახლა ის ისევე ის ყველასათვის საყვარელი ედისონ ჰარტის იყო. მეკვრივი

ლაშქარიანი ქალაქი ადრინდელი ები პრიორებოდა, ხოლო ხარისხიან პოლიგრაფიულ საღებავს ჯერაც არ დაეკარგა პენი. ერთი ეგ იყო, რომ სურათი რბილი ლითონისგან დამზადებული, უხარისხო, არაერთგზის მიღუნულ-მოღუნული ჩინური ჭიკარტით იყო მიჭიკარტებული და, ვინძლო, ევრო რაიმი უამთა სიავეს ამ ციქქნა საკანცელარო ნივთისთვის. მაშინ ხომ ედისონ ჰარტის სურათი ძირს ჩამოვარდებოდა, ღილით კაბინეტის დასალაგებლად შესულ დამლაგებელ ქალს ის ჩვეულებრივი ტუალეტის ქალაქი ეგონებოდა და ნაგავს გააყოლებდა.

ისე, მუდმივი ქვეყნად, ცხადია, არაფერია, მაგრამ, განა, არ აჯობებდა, უხარისხო ჩინური ჭიკარტი შეეცვალათ ხარისხიანი, თან ედისონ ჰარტის მოთხუნული სურათის ანტისექტიკური ხსნარით გარეცხვის ნაცვლად, განა, უპირანი არ იქნებოდა ამ მსახიობის სხვა, ბევრად უფრო ხარისხიანი სურათის ჩამოკიდება კედელზე? არა, რადგან ეს იქნებოდა სიყაღზე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ხომ სწორედ ყალბი და ფალსიფიცირებული საქონელი — უხარისხო სანიტარიული რულონის შესაფუთი, ჭუჭყიანი ქალაქი და მეტისმეტად რბილი ლითონისგან დამზადებული, დაბრეცილი ჭიკარტი იყო ნაღდი.

P.S. ერთხელ ძილ-ბურანში მყოფ ავტორს გამოეცხადა, ბატონო, ედისონ ჰარტის, არც მეტი არც ნაკლები, ტრანსცედენტალური ქვეცნობიერის მეშვედევანტარი და ჯენტლმენისთვის შეუფერებელი უცნებურო სიტყვებით მიაყენა მას

სიტყვიერი შეურაცხყოფა: ფოქ იუ, ფოქ იუ, — ყვიროდა ის შეურაცხავით, ლამის იფურთხებოდა და დამტყვევულ ქართულსა და გამართულ ანგლო-ამერიკულ სიტყვებს ერთმანეთში ურევდა — რიათომ მიმამარგრი მზღნერიან ქედელზე და რიათომ მიმჩიქართიე აქადემიკოსის თრიაქზე, ფოქ იუ?! ავტორმა ჯერ ზრდილობიანად უპასუხა: ჯერ ერთი, „ფოქ იუ“ უთხარი შენს მაიმუნ ცხვირს... მეორეც, აკადემიკოსს რათ უნდა თრიაქი? მაგრამ შემდეგ მაინც ვეღარ შეიკავა თავი და მიაყოლა: ფოქ იუ და თხაც მოიგე მატორიანი! შენ მოგიტყუდა ლეღვის ტოტი! ვის აგინებ, შენი?! ერთხელ კიდევ იტყვი „ფოქ იუს“ და მოგინხავ მინდორ-ველებს!

შემდეგ ავტორმა გადაწყვიტა, არ გაემწვავებინა სიტუაცია და მომავალში მსგავსი ინციდენტების პრევენციის მიზნით შესთავაზა დამცავი მეთოდი, რომლითაც სარგებლობდა თვის იოსებ ბესარიონის ძე სტალინი. აი, რა უამბო ამ მეთოდის შესახებ ავტორმა ედისონ ჰარტს: სტალინს თურმე არ უყვარდა, როცა მის ფოტოებს გაზეთებში ბეჭდავდნენ. მას ერთგვარი „ფობია“ სჭირდა, რაც გამოიხატებოდა იმის მიშში, რომ ვინმე „შეჭირვებული“ მისი ფოტოსურათით კუჭში



გასვლის შემდეგ უკანალს გამოიმინდდა. ეს ისე ანრისხებდა თურმე დიდ ბელადს, რომ აფექტის მდგომარეობაში მყოფი საშინლად რისხავდა და ცოფავდა ყველას. ამ ფაქტთან დაკავშირებით 1948 წლის 17 მარტს შედგა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დახურული სხდომა, რომელზედაც ამა. სტალინიმ კატეგორიულად მოსთხოვა სხდომის მონაწილეებს, ელონათ რამე ამ პრობლემასთან დაკავშირებით. ეს კი არ იყო ადვილი საქმე, რადგან სტალინის ფოტოების ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდვის აკრძალვა აბსურდი იქნებოდა — ქვეყანას ბელადი სჭირდებოდა; მეორეს მხრივ კი, შეუძლებელი იყო უკიდევანო ქვეყნის მცხოვრებთა გაკონტროლება საპირფარეოებში, რადგან ჯერ არ შობილა ისეთი ადამიანი, კუჭში რომ არ გადიოდეს, ხოლო ზოგიერთები დღე-ღამეში ოთხჯერაც გადაიან. მიდი ახლა შენ და სდიე მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ადამიანებს. რავალია? მითუტოტეს, როცა ისინი თავიანთ სან.კაბინებში არიან შეყუყულები და ბომბ-დამშენების ავარიულ დაშვებებს ახორციელებენ ავიაშიდიზე.

სხდომაზე სიტყვით გამოვიდა მრავალი ორატორი, რომლებიც ჰგომბდნენ „დამყაყუელი კაპიტალიზმის დამქაშებს“ და მათ ფარულ აგენტებს, მაგრამ საქმიანს ვერავინ ამბობდა რასმეს. მაშინ სიტყვა ითხოვა უხუცესმა კომუნისტმა ამა. კალინინმა და განაცხადა: „მე, ამხანაგებო, დღეიდან გამოვეცემ დადგენილებას, რომლის თანახმადაც, ამა. სტალინის ფოტოსურათების გამოქვეყნების ექსკლუზიური უფლება ექნებათ მხოლოდ

გაზეთებს — „პრავდასა“ და „იზვესტიას“ — ოღონდ ერთი პირობით: მათმა პოლიგრაფისტებმა პოლიგრაფიულ საღებავში უნდა გაურიონ დიდი რაოდენობით შავი პილპილი „დუშისტის“ დამატებით, რათა დესტრუქციულ ძალებს მართლა არ მოუნდეთ საპატიო გაზეთებში გამოქვეყნებული სათაყვანებელი ბელადის სურათის ფსევდოპიგენური მიზნებისთვის გამოყენება. რაც შეეხება სხვა დანარჩენ ჟურნალ-გაზეთებს: მიეცეთ მათ რედაქტორებს მკაცრი დირექტივა, რომ ამიერიდან ამა. სტალინის ფოტო გამოქვეყნონ მხოლოდ ანთიბული ჩიზბუხით პირში ანუ როდესაც ბელადი უკიდებს ასანთით ჩიზბუხს. ეს დააფრთხოვს ანტისაბჭოთა ელემენტებს, კონტრრევოლუციონერებსა და სოფლის კულაკობას და ისინი უკვე აღარ გამოიმინდავენ ასეთი ფოტოებით ტრაკებს და თუ მაინც გაბედავენ და გამოიმინდავენ, მაშინ მათ ანთებული, „პროლეტარული“ ჩიზბუხი მოხვედრათ ტრაკში.“ დარბაზში ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე და არავინ იცოდა, თუ რა მოხდებოდა მაშინ იქ. მაგრამ ამ დროს ძალიან დინჯად ნამოდდა ამა. სტალინი ფეხზე, ამოილო თავისი განუყრელი ჩიზბუხი, მოუკიდა, გააბოლა და ბრძნულად ბრძანა: „ოტლიჩნო, ამხანაგო კალინინ, ოტლიჩნო!“ რის შემდეგაც მედიდურად და დინჯად შეუდგა ტაშის კვრას. მთელი დარბაზი მქუხარე ოვაციებში მოიკვია. ბოლშევიკები ფეხზე მდგომნი უკრავდნენ ტაშს, ყვიროდნენ ვაშას. მას შემდეგ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე სტალინის სურათით ტრაკის გამომწმენდის მხოლოდ ერთუღი შემთხვევები დაფიქსირებული.

ედისონ ჰარტის ტრანსცენდენტალური ქვეცნობიერის მეშვედევანტარი ყურადღებით მოუსმინა ავტორს და არ შეიმჩნია, მაგრამ სინამდვილეში თითქოს გულს მოეფინა. მან ტონი შეარბილა და განაცხადა: „მე დემოკრატი ვარ და არ ვარ სტალინური მეთოდების ცხოვრებაში გატარების მომხრე, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს მართლაც კარგი დამცავი საშუალებაა, ოღონდ, თქვენის ნებართვით, მე ჩიზბუხის ნაცვლად ექვს დიუმიან ჰავაიურ სიგარას გამოვიყენებ“. ავტორმა მონივნით დაუკრა ედისონ ჰარტის ტრანსცენდენტალური ქვეცნობიერის მეშვედევანტარს თავი და აღარაფერი უთქვამს, რადგან ახალ, გაუთვალისწინებელ გართულებას მოერიდა. მან მხოლოდ თავის გონებაში გაიფიქრა: „გამოიყენე თუნდაც ფანგიანი „ფენის ტრუბა““.

მას შემდეგ ედისონ ჰარტი პირში გაჩრილი ანთებული ექვსდიუმიანი ჰავაიური სიგარის გარეშე აღარ უწევს სანიტარიულ ქალაქს რეკლამირებას. ხის ტუალეტი კი ისევე ისე კობხად დგას მის უკან. იქვე, თავიანთი ნაქნარი ნეხვის გროვეებს შორიახლოს, მადიანად ბალახობენ დიდჯიქანა, ჩასუქებული ძროხები. არის სიახლეც — ძროხებსა და ნეხვის გროვეებს შორის ფანგიანი ნახშირის ლუმელია განთავსებული, მასზე რეკლამიკერებს გამურული თუნუქის მილი ჩამოუმხიათ, საიდანაც შეფერხებების გარეშე ამოდის კვამლი.

გვყავს ჰარტი და, მამასადადე, გვექნება კინო. ძროხები გვყავს და, მადლობა ღმერთს, გვექნება ყველი. ლუმელი ჩვენ სითბოთი უზრუნველგვყოფს. ნაკვლს შევინახავთ და გაზაფხულზე მიწას მოვაციროთ. კობხა ტუალეტში მოვისაქმნებთ. ტუალეტის ქალაქად კი ჩვენ არ გამოვიყენებთ (და თუ გამოვიყენებთ, მხოლოდ უკიდურესად გამოუვალ მდგომარეობაში) ცნობილი ადამიანების პორტრეტებს. არ ვისარგებლებთ, აგრეთვე, საკუთარი ქუდებითაც. ვისარგებლებთ მხოლოდ ხარისხიანი და არა ფალსიფიცირებული ჰიგენური ქალაქებით. თუმცა, თუ გამოიმინდისა შემთხვევით მაინც მოგვესვრება თითები, მაშინ ვიტოვებთ ექსკლუზიური უფლებას, რომ ამ თითებით განხორციელებული უაღრესად აკადემიური და მსუყე, ბოტიჩელისეული მონასმები დაეაჩინოთ როგორც ჩვენი მოხდენილი სოფლური ტუალეტების კედლებს, ასევე ცალკეული, ზედმეტად აბეზარი ლიტერატურული კრიტიკოსების ცხვირებს.

ლიტერატურული გაზეთი

გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლის დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტიკის ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობაიძე, თამარ ჟურული
ტელ.: 2292196; მობ. ტელ.: (877)742277; (899)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com